ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 10 დეკემბერი, 2019 №292 (8246) ფასი: 60 თეთრი

## რუსეთი 2022 წლის მსოფლიოს პირველობაზე ყატარში მონაწილეობას ვერ მიიღებს

მას 4 წლის მანძილზე ყველა დიდ ტურნირზე აეკრძალა მონაწილეობა



გვ.6

10 დეკემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამა



წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# „სალომე ზურაბიშვილი კაზინოში დიდ ფულს ხარჯავს“



გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ჟვანია გაექცა, მოისწრაფიშვილი გაექცა, რადგან თანამშრომლებს შეურაცხყოფას აყენებს“





გვ.3

## სერგი კაპანაძე: „მშვიდობიანი პიკეტირება იქნება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული შეთანხმება“

## დავით ბერძენიშვილი: „ოცნება“ არაადეკვატურობის ზენიტშია“



გვ.4

„ამბოხებული ცრუ დიმიტრი შევარდა პარტიულ ველზე და ივანიშვილმა ძლივს შეძლო კომპრომისი“

## „2020 წელს არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება ნოემბერშივე გამოირიცხა“

გიგა ბუკია: „ოცნება“ უზენაეს მოსამართლეობაზე 7-8 კანდიდატს დაუჭერს მხარს“



გვ.4

## „ოპოზიციას „ოცნების“ კუთხეში მიმწყვდევა შეუძლია“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „მისი მიზანია მაჟორიტარულ არჩევნებზე ხელისუფლების გავლენის შესუსტება“



გვ.5

## დავით ლორთქიფანიძე: „თუ ნაცები დაბრუნდნენ, სიცოცხლე შესანარჩუნებელიც იქნება და გადასარჩენიც“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი: „პროტესტის უფრო რადიკალურ ზომებს მივმართავთ“

2 ბიძინა ივანიშვილი: „ასი ათასობით ხე მაქვს დარგული და გადარჩენილი“

5 თბილისში 32 წლის ქალი გაზით გაიგუდა, მისი 22 წლის ძმა კი მძიმედ მოიწამლა
რა მოხდა მიხეილ მესხის ქუჩაზე

6 აშშ უკრაინას სამხედრო დახმარებას გაუზრდის

# ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი: „პროტესტის უფრო რადიკალურ ზომებს მივმართავთ“

## ვოლსკი: „უფრო რადიკალური ზომა შეიარაღებული ჯგუფის გადასმა იქნება“

ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახმა კვირის ბოლოს, შესაძლოა, პროტესტის რადიკალურ ფორმებს მიმართოს.

ამის შესახებ გუშინ, 9 დეკემბერს, გამართულ ბრიფინგზე ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის მეუღლემ, თამილა ლაფანაშვილმა განაცხადა.

მისივე ცნობით, ჟენევაში, გაერო-ს ოფისის წინ, სადაც მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დაიწყება, ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერი აქცია გაიმართება. თამილა ლაფანაშვილის თქმით, პრესაში ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მეხუთე დღეს გავრცელდა, მანამდე კი ოჯახი ფაქტს არ ახმაურებდა, რადგან შესაბამისი უწყებებიდან ჰქონდათ რეკომენდაცია, რომ თუ ინფორმაცია გაჟონავდა, ამას შეიძლება უარყოფითი გავლენა მოეხდინა ვაჟა გაფრინდაშვილის მდგომარეობაზე იზოლატორში.

– ტყვეობის მეშვიდე დღეს გაგვაგებინეს, რომ ჩატარდა სასამართლო სხდომა, სადაც მას მიესაჯა 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა რუსეთის კანონმდებლობის 322-ე მუხლის მიხედვით. ეს არის საზღვრის უკანონოდ კვეთა.

იმ დღესვე ჩავატარეთ სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პირველი აქცია. მე-8 დღეს, შაბათს, სახელმწიფო სტრუქტურების ოფიციალური წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ ვაჟა 2-3 დღეში გათავისუფლდებოდა. ეს მოლოდინი გრძელდება დღემდე.

ჩვენ სახელმწიფო სტრუქტურებიდან დამოუკიდებლად მაქსიმალურად გავაქტიურდით, – განაცხადა თამილა ლაფანაშვილმა.




მან ოსური მხარის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ომის პერიოდში ვაჟა გაფრინდაშვილი მუშაობდა კლინიკაში და მკურნალობდა ყველას, მათ შორის ტყვედ ჩავარდნილ რუს პილოტებსაც და ამას ადასტურებს ღუდუშაურის კლინიკაც.

– 10 დეკემბერს იწყება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი და მონაწილე მხარეებს მოვუწოდებთ, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა ბერკეტი ვაჟა ექიმის დაუყონებლივ, უპირობოდ გასათავისუფლებლად.

ასევე, ყველა მხარესთან მოლაპარაკებებში ჩაერთოს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი. ამას ვითხოვთ უკვე ერთი თვეა.

ვითხოვთ, საქართველოს მთავრობისგან მეტად ქმედით ნაბიჯებს და უწყებათაშორისი საგანგებო საკოორდინაციო კომისიის შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პირველივე დღიდან ჩართულია ვაჟა გაფრინდაშვილის გასათავისუფლებელ მოლაპარაკებებში, გვესმის სხვადასხვა თანამდებობის პირების დაპირებები, თუმცა, 1 თვის თავზეც ის კვლავ ტყვეობაში რჩება და შედეგი გვაქვს ნული.

თუ აღნიშნულმა ქმედებებმა შედეგი არ გამოიღო, მივმართავთ პროტესტის უფრო რადიკალურ ფორმებს. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ კვირის განმავლობაში ვაჟა ექიმის გათავისუფლების საკითხი სასიკეთოდ გადაწყდება და ის დაუბრუნდება ოჯახს, – განაცხადა თამილა ლაფანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით 9 ნოემბერს დააკავეს და 2-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

თავად ექიმი ბრალს არ აღიარებს და ამბობს, რომ საქართველოს მიწაზე იმყოფება.

თამილა ლაფანაშვილის განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი.

– ამაზე მეტი ქმედითი ნაბიჯი არსებობს მხოლოდ ერთი – შეიარაღებული ჯგუფი გადასვა და ჩაატარო სამხედრო ოპერაცია, მაგრამ, ამის გარდა, კიდევ არსებობს მუშაობა და მოლაპარაკებები, – განაცხადა მან.

მისი თქმით, მუშაობა მიმდინარეობს ინტენსიურად.

– დარწმუნებული ვარ, ამ მუშაობას შედეგი ექნება, – დასძინა გია ვოლსკიმ.

# ბიძინა ივანიშვილი: „ასი ათასობით ხე მაქვს დარგული და გადარჩენილი“

ზოგიერთებმა შეიძლება ეს ჩამითვალოს პირად ახირებად, რადგან ხარჯები არ არის შედეგთან თანაფარდობაში, თუმცა ჩემი მიზანი მარტივია – ყველა ეს პარკი გადაეცემა სახელმწიფოს, რაც საშუალებას აძლევს მოსახლეობას და ჩვენი ქვეყნის სტუმრებს ბუნებასთან სიახლოვე განიცადონ. ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალ „ველურ ბუნებასთან“ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც დენდროლოგიური პარკების განვითარებაში მის წვლილს ეხებოდა.



– ჩემთვის პირადად, ბუნება არის ენერგიის უმთავრესი წყარო. სადაც არ ვცხოვრობდი, ყოველთვის ვცდილობდი, ქალაქიდან თავი დამეღწია და ბუნებასთან ახლოს ვყოფილიყავი, რასაც მეტ-ნაკლებად ვახერხებდი. ამის შესაძლებლობა ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს და ყოველი ამ პარკის შექმნითა და თანადგომით მე ზუსტად ამ შესაძლებლობების შექმნას ვცდილობ.

გიგანტური ხეების გადატანას მრავალი ეპითეტი მოუგონეს, თუმცა მინდა გითხრათ, რომ მე ეს ხეები გადავარჩინე, რადგან უმეტესი მათგანი უკვე გადაშენების პირას გახლავთ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელ ბატონ ზურაბ ბაგრატიონთან ერთად დავდიოდით და ხეებს სწორედ ამ კუთხით ვარჩევდით.

მე ასი ათასობით ხე მაქვს დარგული, შეიძლება ამას ჩემი ჰობი დაარქვათ ან მოთხოვნილება, მაგრამ ყველაფერში ნეგატივის დანახვა და ხალხისთვის სიცრუის ტირაჟირება ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მედიის წარმომადგენლები ვირტუალურ რეალობაში ამყოფებენ ჩვენ მოსახლეობას, რათა ყველა მოვლენა მხოლოდ ნეგატიური კუთხით შუქდებოდეს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი აზრით, დღეს ბევრი ვაიპატრიოტი ეწინააღმდეგება ყველანაირ მშენებლობას, განსაკუთრებული ძალისხმევით ებრძვიან ჰესების განვითარებას.

– მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებით შედგენილი სწორი პროექტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოზე ზემოქმედება, თუმცა ის ბუნებრივი რესურსი, რომლითაც ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ჩვენი ქვეყანა, უნდა გამოვიყენოთ, – აღნიშნა მან.

მისი თქმით, ისეთი განახლებადი ენერგია, როგორიცაა მზის და ქარის ენერგია, უნდა განვავითაროთ, მაგრამ ვერ მოხერხდება ბალანსის შენარჩუნება, პარალელურად თუ არ მოხდა სხვა ენერგიების განვითარება.

– ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის ქვაკუთხედია და სწორედ ამიტომ ვუწოდებ მე იმ ხალხს ვაიპატრიოტებს, ვინც ყველაფერს აკეთებს, ოღონდ არაფერი აშენდეს. სამწუხაროდ, მათ ბევრი გულწრფელი მოქალაქე აიყოლიეს და ამ კუთხით ჩვენმა მთავრობამ მეტი უნდა იმუშაოს ხალხის ინფორმირებისათვის.

გადავხედოთ ევროპული ქვეყნების გამოცდილებას, მაგალითად, ნორვეგია ელექტროენერგიის 99%-ს ჰიდრორესურსებით იღებს და მიუხედავად არცთუ ისე დიდი ტერიტორიისა, წამყვანი პოზიციები უჭირავს არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიო მასშტაბით. მოწინავე პოზიციებზე არიან დაახლოებით ჩვენი ზომის სხვა ევროპული ქვეყნებიც, როგორებიცაა შვეიცარია და ავსტრია.

საქართველო არ არის მდიდარი ისეთი წიაღით, როგორიცაა, მაგალითად, ნავთობი და გაზი, თუმცა რაც გაგვაჩნია, იმას უნდა რაციონალური გამოყენება, სწორი დაგეგმარება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რათა წინასწარ იყოს დაგეგმილი იმ ადგილების რეაბილიტაცია/რეკულტივაცია, რაც წიაღის მოპოვების შემდგომ ისევ მოსახლეობის სამსახურში დააბრუნებს ამ მიწებს, – აღნიშნა ივანიშვილმა.

# „ვილოცებ, რომ საპენსიო რეფორმა წარმატებით გაგრძელდეს“

## ლევან სურგულაძემ თანამდებობა დატოვა



საპენსიო სააგენტოს დირექტორი, ლევან სურგულაძე თანამდებობას ტოვებს. მან გადადგომის მოთხოვნით სამეთვალყურეო საბჭოს განცხადებით უკვე მიმართა.

– სამეთვალყურეო საბჭოს მივმართე თხოვნით, ვინაიდან საპენსიო სააგენტო ფუნქციონირებს გამართულად, ყველა პროცესი დალაგებულია, თუ შესაძლებელი იქნებოდა, რომ მე 16 იანვრიდან დამეტოვებინა ჩემი თანამდებობა. ეს იყო დაახლოებით, ერთი კვირის წინ. სამეთვალყურეო საბჭო კანონის თანახმად, ამ განცხადებას განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, თუ სამეთვალყურეო საბჭო მიიჩნევს, რომ მე რაღაცა პერიოდი უნდა დავრჩე თანამდებობაზე, არც ეს იქნება პრობლემა. რა თქმა უნდა, რეფორმის უპრეცედენტო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამას მე დავეთანხმები, – უთხრა გუშინ, 9 დეკემბერს, სურგულაძემ ჟურნალისტებს.

მისი თქმით, „ილოცებს, რომ საპენსიო რეფორმა წარმატებით გაგრძელდეს“.

– რეფორმა მიმდინარეობს წარმატებით და ის გაგრძელდება წარმატებით, მე დარწმუნებული ვარ ამაში, მე ამის შესახებ ვილოცებ ყოველთვის. მე ვიქნები მორალურად ჩემი გუნდის გვერდით მორალურად, – თქვა სურგულაძემ, რომლის ხელფასი თვეში დაახლოებით 15.000 ლარი იყო.

გუშინვე პრემიერმა გახარიამ ლევან სურგულაძის გადაწყვეტილებაზე კომენტარი გააკეთა.

– ადამიანმა თქვა, მინდა წასვლაო და ძალით ხომ არ ვამუშავებთ? თან დაგვპირდა, რომ ილოცებს, – თქვა მან.

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ საპენსიო რეფორმა არის ქვაკუთხედი, როგორც სოციალური სტაბილურობის ქვეყანაში და გრძელვადიანი ძალზე პრინციპულად მნიშვნელოვანი რეფორმა ქვეყნის ეკონომიკისთვის.

– ბატონმა სურგულაძემ, მე როგორც ვიცი, საწყის ეტაპზე საკმაოდ კარგად შეასრულა თავისი ფუნქციები. ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა და მის პირად გადაწყვეტილებას მე კომენტარს ვერ გავუკეთებ. სააგენტოს სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა სახე ჰყავს და მოგეხსენებათ, სააგენტოს წესდებიდან გამომდინარე, ის იყო ფაქტობრივად მენეჯერი. სააგენტოს ჰყავს ბორდი და კიდევ სხვა ბევრი მმართველი, ასევე ძალზე პატივსაცემი და მაღალი რეპუტაციის მქონე მმართველები, – დასძინა გიორგი გახარიამ.

# „ჩვენ რამდენიმე დღე დაგვჭირდება“

## „ოცნებას“ მრავალმანდატიან მაჟორიტარულ სისტემაზე პასუხი კვირის ბოლოს ექნება



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ მმართველი გუნდი მრავალმანდატიან მაჟორიტარულ სისტემას განიხილავს და გადაწყვეტილებას საზოგადოებას კვირის ბოლოს გააცნობს.

ამის შესახებ მან ჟურნალისტებს გუშინ, 9 დეკემბერს, უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მდინარაძე ამბობს, რომ უმრავლესობა მზად არის, განიხილოს ყველა თემა, რომელიც თანხმობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან.

– უმრავლესობის დღევანდელ სხდომაზე მესამე საკითხი იყო გუშინდელი შეხვედრის თემა, რომელიც გაიმართა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, ჩვენი მეგობრების მხარდაჭერით და მათი შუამდგომლობით, მათი უშუალო მონაწილეობით, რისთვისაც მათ, ბუნებრივია, ძალიან დიდ მადლობას ვუხდით. გვქონდა მცირე დრო უმრავლესობის სხდომაზე დარჩენილი, რომ ცოტა ზედაპირულად განგვეხილა მრავალმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის საკითხი, თუმცა დეტალიზაცია ჩვენ დღეს ვერ მოვასწარით, იყო ძალიან ზოგადი განხილვა.

ჩვენ დაგვჭირდება რამდენიმე დღე, რომ არა მხოლოდ მრავალმანდატიან, არამედ, რადგან საუბარი წავიდა იმაზე, რომ მოდი, გავწიოთ ე.წ. გერმანული მოდელი, რომელიც მისი მსგავსია და ვილაპარაკოთ მაჟორიტარული სისტემის შიგნით როგორ ავირჩიოთ დეპუტატები და როგორ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება“ მთლიანად გადმოვიდა ჩვენს განრიგზე“

– პრინციპულები ვართ, ერთიანები ვართ და ბოლომდე შეუპოვრები, განაცხადა „ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ოპოზიციური პარტიების შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მისი თქმით, საპროტესტო აქციები გაგრძელდება.

– „ქართული ოცნება“ მთლიანად გადმოვიდა ჩვენს განრიგზე – ოთხშაბათს გააუქმეს მოსამართლეთა კომიტეტი ანუ მოსამართლეთა დამტკიცება არ იქნება ოთხშაბათს კომიტეტზე, გადადეს ხუთშაბათისთვის. პიკეტირება მაშინ იქნება, როცა მოსამართლეთა საკითხის განხილვა იქნება, იმიტომ, რომ ეს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის თემაა. ჩვენ გვექნება რეგიონებში მწვავე რეაქციები, ყველგან აბსოლუტურად.

რაც შეეხება 14 დეკემბერს დაგეგმილ ღონისძიებას, ვერ გავიგეთ, რა ღონისძიებას მართავს. საჯარო მოხელეების იძულებით ჩამოყვანა უნდა „ქართულ ოცნებას“. ჩვენ ნამდვილად არ შევალთ იმავე კონტრაქციებში და იმავე სისულელეებში, რასაც თვითონ მოქმედებენ.

მთავარი არის ერთი რამ და საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ გვინდა, რომ იცოდეს – ჩვენ გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომლითაც ვმოქმედებთ. „ქართული ოცნება“ რეაგირებს ჩვენს სამოქმედო გეგმაზე. მცირე ცვლილებებს იწვევს ხოლმე მათი პარლამენტის სესიის გაუქმება, კომიტეტის გაუქმება, გადადება.

ჩვენი მიზანიც ეს არის, რომ ვაჩვენოთ მსოფლიოს, ვისთან გვაქვს საქმე, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სალომე ზურაბიშვილი კაზინოში დიდ ფულს ხარჯავს“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ჟვანია გაექცა, მოისწრაფიშვილი გაექცა, რადგან თანამშრომლებს შეურაცხყოფას აყენებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** პასუხობს.

***– ბატონო ნიკოლოზ, ხშირად ისმის პრეტენზია სალომე ზურაბიშვილზე, რომ ის არასახელმწიფოებრივად იქცევა. თქვენც გაქვთ პრეტენზიები მასთან დაკავშირებით. რა ხდება?***

– ეს ქალი რომ გასულია საერთოდ მომსახურების ზონიდან, ეს ყველასთვის ცნობილია. თუმცა ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ის მუდმივად უშვებს შეცდომებს, მაგრამ არის ნაბიჯები, რომლებიც სახელმწიფო ღალატის ტოლფასია. ის ქმედებები, რასაც ეს ადამიანი ახორციელებს, არის სახელმწიფო ღალატის შემცველი.

***– ასეთი რა ჩაიდინა?***

– სულ ახლახან გავრცელდა აზერბაიჯანულ სააგენტოზე ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი დიდ მადლობას უხდის ილხამ ალიევს იმის გამო, რომ ეს ენერგოდერეფანი გადის საქართველოზე. ენერგორესურსები თუ გადის ჩვენს ტერიტორიაზე, ეს, პირველ რიგში, აზერბაიჯანის ინტერესებშია, სხვანაირად ვერც მოიქცეოდა.

***– რატომ?***

– აბა სად უნდა გაატაროს? სომხეთზე ვერ გაატარებდა, რადგან სომხეთთან ომი აქვს. რუსეთზე ვერ გაატარებს, რადგან რუსეთს ნამდვილად არ სურს აზერბაიჯანის ენერგოდამოუკიდებლობა და პირიქით, პრეტენზიები აქვს და ყველანაირად ცდილობს, აზერბაიჯანი შეავიწროოს. აბა რა უნდა ქნას აზერბაიჯანმა, სად უნდა გაატაროს?!

ამ განცხადებებს პრეზიდენტი აკეთებს ოკუპანტ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც ჩვენი ტერიტორიის ოკუპირება განახორციელა, ვგულისხმობ დავითგარეჯს. მან არ შეასრულა გახარიასთან დადებული ხელშეკრულება.

***– რომელი ხელშეკრულება?***

– მოგეხსენებათ, ბაქოში იყო პრემიერმინისტრი, შეთანხმდნენ ისინი, რომ სასულიერო პირები შევიდოდნენ ჩიჩხიტურსა და უდაბნოს მონასტერში. ჯერ ერთი, ესეც ცოტა უცნაური შეთანხმება იყო.

***– რატომ იყო უცნაური?***

– გაუგებარია, ეკლესიაში მღვდელი შევიდეს და მრევლი არ შევიდეს, ეს რანაირი წესია?! მაგრამ ჩავთვალეთ, რომ პირველ ნაბიჯად ესეც ცუდი არ არის და მერე ამას მოჰყვება სხვა ნაბიჯები, თუმცა იმასაც არ ასრულებენ.

აზერბაიჯანელებმა წაგვართვეს ჩვენ ტერიტორიები, მრევლსაც არ უშვებენ, შეთანხმებასაც არ ასრულებენ და ამ ფონზე ეს ქალი გამოდის, პრეზიდენტი რომ ჰქვია და მადლობას უხდის ალიევს. თვლის, რომ ალიევი დიდი პოლიტიკოსია, დიდი დამსახურება აქვს და ასე შემდეგ.

***– რატომ აკეთებს ქვეყნისთვის საზიანო განცხადებებს?***

– იმიტომ, რომ ის არის ქვეყნის მოღალატე. ამას ვამბობ პირდაპირ, ყველანაირი მიკიბმოკიბვის გარეშე. დააანონსა ჩვენმა მთავრობამ, რომ რამდენიმე ახალი ფსიქიატრიული კლინიკა უნდა გაიხსნას. მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ ამ კლინიკის პირველი პაციენტი აუცილებლად ეს ქალი უნდა იყოს. ყველანაირი ირონიის გარეშე მოვუწოდებ მათ, რომ ეს ქალი აუცილებლად დაამწყვდიეთ ფსიქიატრიულში, რადგან ის არ არის ნორმალური.

***– ბევრჯერ გაეხვა სკანდალში.***

– მის სკანდალებსაც აუცილებლად შევეხები, თუმცა მანამდე გეტყვით, რომ სწორედ მაგან გააღვივა ის კონფლიქტი. დავითგარეჯთან დაკავშირებით ისეთი სტატუსკვო იყო, რომ იქ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ჩასვლა და არანაირი პრობლემა ეს არ იყო. ჩავიდა იქ, დადგა და დაიწყო ბოდიალი, აქ რესტავრაცია უნდა დავიწყოთ ჩიჩხიტურშიო.

გააღვივა დაპირისპირება და გადგა გვერდზე, საერთოდ ხმა აღარ ამოუღია. გამოყარეს იქიდან მომლოცველები და დღემდე არავის უშვებენ. ავტომატიანი ხალხი დგას, მომლოცველები ველარ მიდიან ინტენსიურად, იკლო ტურისტების რიცხვმა დავითგარეჯში, იმიტომ, რომ დავითგარეჯში რომ ახვალ, უნდა ახვიდე მაღლა ჩიჩხიტურის კოშკში და უნდა ახვიდე უდაბნოს მონასტერში და იქიდან გადმოჰყურებ ყველაფერს.

ეს ყველაფერი კი წაგვართვეს. ის პეწი აღარ აქვს და ტურისტებისთვისაც აღარაა საინტერესო. ამ მონასტრებს ველარ ვაკონტროლებთ ამ მოღალატე ქალბატონის გამო. ეს არის აღვირახსნილი ადამიანი, ის არის ფსიქიკურად შერყეული.

***– ძალიან მწვავე განცხადებებს აკეთებთ ზურაბიშვილის მისამართით.***

– ეს კიდევ რბილად ნათქვამია. ქალი, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის პრეზიდენტს დითირამბებს უმღერის და მადლობებს უხდის, ნორმალურია?! პუტინზე რომ თქვან იგივე, ხომ ატყდება ერთი ამბავი?! რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის ოკუპანტი? ოკუპანტი ოკუპანტია!

ზოგჯერ ვფიქრობ, რომ გრიგოლ ვაშაძე რომ აგვერჩია პრეზიდენტად, განა ამაზე მეტს რას დააშავებდა?! ამაზე საშინელებები რა უნდა გაეკეთებინა, რასაც ეს ქალი აკეთებს?!

ეს არის სახელმწიფო ღალატის ტოლფასი ქმედებები. თუ ჩადიოდა დავითგარეჯში და აკეთებდა ასეთ განცხადებებს, მაშინ ბოლომდე უნდა მიჰყოლოდა. გამოიწვია დაპირისპირება და თვითონ საერთოდ გაქრა, არავითარი განცხადება აღარ გააკეთა გარეჯის ოკუპაციაზე, არაფერი აღარ თქვა იმაზე, რომ ავტომატიანმა ხალხმა გამოყარა მრევლი.

მაგალითად, საქართველოს პატრიარქმა ბაქოში ვიზიტზე უარი თქვა.

***– მიწვეული იყო?***

– დიახ, ეს ინფორმაცია საჯაროდ არ გამოსულა, ვიწრო წრეებმა ვიცით, იქაური მუფტი იწვევდა პატრიარქს დღესასწაულზე და პატრიარქმა თქვა, რომ სანამ დავითგარეჯის საკითხი არ მოგვარდება, მე ბაქოში არ ჩამოვალო!

ეს კულუარული ინფორმაციაა, ამაზე ღიად არ საუბრობენ. ეს ქალბატონი კი პრეზიდენტი რომ ჰქვია, არის სამშობლოს მოღალატე. ამას გარდა, მე მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ქალი არის კაზინოს ხშირი სტუმარი.

***– სალომე ზურაბიშვილი?***

– დიახ, სალომე ზურაბიშვილი! ძალიან დიდ ფულს ხარჯავს. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ქალი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებზე მუშაობდეს და ქვეყნის ღალატში დიდძალ ფულსაც იღებდეს. მერე ამ ფულს კი სადაც ხარჯავს, ხვდებით.

სამშობლოს ღალატი ისე არ ხდება, ადამიანები სამშობლოს ღალატობენ ან ფულის გამო, ან სხვა პირადი ინტერესებისთვის. ეს, როგორც ჩანს, ფულს იღებს. როგორც იმ სკანდალში, შეწყალების სკანდალს ვგულისხმობ, მკვლელი, პედოფილი და ნარკობარიგა ყველა ერთად რომ შეიწყალა.

ნორმალური გამოძიება რომ ჩაეტარებინა პროკურატურას, გამოიკვეთებოდა პრეზიდენტის დანაშაული. ეს ქალი ქვეყნის ღალატში იღებს ფულს, ამ შეწყალებებში იღებს ფულს და კაზინოშიც ხარჯავს და პირადი კეთილდღეობისთვისაც.

ბოდიშით, მაგრამ ჰარამხანად აქვს ქცეული რეზიდენცია. არ მიყვარს ხოლმე მანდილოსნებზე საუბარი, მაგრამ ეს ქალი ყველანაირ ზღვარს გადაცდა.

***– საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებთ.***

– ყველანაირ ზღვარს გადავიდა და იმიტომ. ალბათ გახსოვთ ისიც, აქციების დროს სალობიეში რომ მივიდა. ქვეყანა ინგრეოდა, დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, ლამის ტანკები



გამოიყვანეს რუსთაველზე და სალობიეში მიბრძანდა. ძალიან კარგად იცოდა, ამას რაც მოყვებოდა, მაგრამ დემონსტრაციულად მივიდა. რაღა მაინცდამაინც მაშინ აუტყდა ლობიოს ჭამა?!

როგორც გამოვიდა ინფორმაცია, ყველას დედას აგინებს და შეურაცხყოფას აყენებს. ყველა გაექცა. ჟვანია გაექცა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ხატია მოისწრაფიშვილი გაექცა. თავმოყვარე ადამიანი ვინც იყო, ყველა წამოვიდა.

დღეს ვინც მასთან არიან, ჩათვალეთ, რომ ესენი არიან უთავმოყვარეო ადამიანების ხროვა, რომლებსაც ღირსება არ გააჩნია! ისეთ შეურაცხყოფას აყენებს თანამშრომლებს, რომ ვინც თავმოყვარეა, გამორბის.

მოვუწოდებ გახარიას, რომ მიუჩინოს კონკრეტული პირები და არ მისცენ საჯაროდ ლაპარაკის საშუალება.

***– იმპიჩმენტით ხომ არ დაასრულებს?***

– იმპიჩმენტი კი არა, დადგება დრო და ამ ქალს დაიჭერენ. ამდენ ფულს რომ ფლანგავს და მე-17-18 საუკუნეების ანტიკვარებს რომ ყიდულობს, ვინ მისცა ამის უფლება?! რა დამსახურება აქვს ქართველი ხალხის წინაშე, რომ ასე განცხრომით იცხოვროს?!

ამდენი წელია, აქ ცხოვრობს და ქართული ენაც არ ისწავლა წესიერად და ამდენ სისულელეს ლაპარაკობს. თუ ნორმალური ხელისუფლება მოვა, ეს ქალი ციხეში უნდა წავიდეს!

ან სააკაშვილივით უნდა გაიქცეს, თუ აქ დარჩება, მისი ადგილი იქნება ციხეში!

# სერგი კაპანაძე: „მშვიდობიანი პიკეტირება იქნება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული შეთანხმება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **სერგი კაპანაძე** პასუხობს.

***– ბატონო სერგი, ბოლო შეხვედრა შედარებით მშვიდ და კონსტრუქციულ რეჟიმში წარიმართა. უმრავლესობის ლიდერები აცხადებენ, რომ გაჩნდა ახალი ვარიანტი, რომელიც სრულიად განსხვავებულია და ერთმანდატიანი სისტემა მრავალმანდატიანი ოლქებით ჩანაცვლდებაო. არის მოლოდინი, რომ ამაზე მოხდება შეჯერება? რა ხდება?***

– არაფერიც არ ხდება. რაღაც უცნაური პიარით არის დაკავებული ხელისუფლება. ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ძალიან ძლიერია. რა ახალი წინადადება?! ჩვენ ახალი წინადადება შევიტანეთ პარლამენტში, ჩვეულებრივი ქაღალდზე დადებული საკანონმდებლო ინიციატივის ფორმა აქვს ამ ყველაფერს. ჩვენ მიერ შეტანილი ინიციატივა აიღეს ჩვენმა პარტნიორებმა, ჩვენ მიერ შეთავაზებული და ამ საკანონმდებლო ინიციატივის ერთ ნაწილზე დაიწყეს საუბარი გუშინ. ანუ აქ საუბარია იმაზე, რაც ჩვენ მიერ არის ინიცირებული.

***– თავისად გაასაღეს?***

– რაღაც უცნაურ ვირეშმაკობას მიმართეს. ვერ გავიგე რა ჩაიფიქრეს. ჩვენი ოპოზიციური პარტიების მიერ დადებული დოკუმენტი, რომელიც ინიცირებულია პარლამენტში. კვირას ელჩებმა შესთავაზეს მმართველ პარტიას და ისინი გამოდიან და ამბობენ, რაღაც ახალი ვარიანტი დაიბადაო.

***– რას ამბობს ხელისუფლება თქვენ მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე?***

– პირველად გუშინ თქვეს, რომ დაიწყებს საუბარს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქების კომპონენტზე. ეს არის ერთ-ერთი კომპონენტი ამ ჩვენი შეთავაზებიდან.



***– ეს არის თუ არა წინ გადადგმული ნაბიჯი? „ოცნებამ“ გადაწყვიტა, დაიწყოს მოლაპარაკება და მსჯელობა ახალ ვარიანტებზე?***

– არის თუ არა კონსტრუქციული ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან, ამას ჯერჯერობით ვერ გეუბნებით, იმიტომ, რომ სანამ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით. შეთანხმება რომ იქნება მიღწეული, მერე გეტყვით, იყო თუ არა კონსტრუქციული. გეტყვით იმას, რომ ამ შეხვედრამ გააჩინა იმის შანსი, რომ ივანიშვილი წამოვიდეს კომპრომისზე.

***– შეხვედრები ამ რეჟიმში გაგრძელდება?***

– გვაქვს იმედი, რომ ამ კვირაში კიდევ იქნება შეხვედრა.

***– ამ ფონზე აქციები მაინც გაგრძელდება?***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „ოპოზიციას „ოცნების“ კუთხეში მიმწყვდევა შეუძლია“

## ვახტანგ ძაბირაძე: „მისი მიზანია მაჟორიტარულ არჩევნებზე ხელისუფლების გავლენის შესუსტება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის ახალი შეთავაზება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქებია. ეს უკანდახევაა?***

– ოპოზიცია ტოვებს თავის მოთხოვნას, 150 მანდატის განაწილებას ე.წ. გერმანული



მოდელის შესაბამისად. ამავე დროს, მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებას, ერთმანდატიანი ოლქების ნაცვლად, მრავალმანდატიანი ოლქებით სთავაზობს.

ამდენად, ოპოზიციას უკან არ დაუხევია. აქ საუბარია მანდატების სამართლიანად გადანაწილებაზე, რამდენ ხმასაც აიღებ, მანდატი ამის პროპორციულად უნდა გადანაწილდეს.

***– მრავალმანდატიანი ოლქი რას გულისხმობს?***

– დღეს საქართველოში 73 საარჩევნო ოლქი არსებობს. თითო ოლქი თითო მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევს.

ახალი შეთავაზების მიხედვით, 1 მაჟორიტარულ ოლქში 3-4 მანდატის აღება იქნება შესაძლებელი. მაგალითად, ყაზბეგს, სადაც 3 ათასი ამომრჩეველია, 1 მაჟორიტარი ჰყავს. ქუთაისსაც, სადაც 80 ათასი ამომრჩეველია, 1 მაჟორიტარი ჰყავს. ამიტომ, მაჟორიტარული მანდატების წონის გათანაბრების საკითხი დადგა დღის წესრიგში.

***– რას იგებს ამით ოპოზიცია?***

– ეს არის საინტერესო საკითხი. მაჟორიტარული არჩევნები ჩვენთან რეალურად არ ტარდება. მაჟორიტარულ არჩევნებზე გადამწყვეტი ფაქტორი არის ფული და ხელისუფლების მფარველობა.

ახლა, როდესაც მრავალმანდატიანი იქნება, მაშინ ფული და სახელისუფლო რესურსი არ იქნება გადამწყვეტი ფაქტორი. ბოლომდე ვერ მოიხსნება, მაგრამ გადამწყვეტი არ იქნება. ოპოზიცია, როდესაც ამას ითხოვს, მიზნად ისახავს არჩევნებზე ხელისუფლების, ფინანსების გავლენის შემცირებას. ეს არის სულ, მეტი არაფერი.

ოპოზიციის ეს მოთხოვნა იმდენად ჯანსაღია, რომ ხელისუფლება ვერ იტყვის, რომ ან საკონსტიტუციო ცვლილება, შესწორება სჭირდება ან შეუსაბამოა კონსტიტუციასთან და ან კიდევ სხვა მიზეზს ვერ მოიგონებს.

***– ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ გუნდში იქნება მსჯელობა. როგორ ფიქრობთ, დათანხმდება ამ შეთავაზებას ხელისუფლება?***

– ვერ გეტყვით, დათანხმდება თუ არა, მაგრამ ოპოზიციამ ღიად უნდა განმარტოს, რა არის ამ შეთავაზების მთავარი პრინციპი. როგორც გითხარით, ეს არის მაჟორიტარულ არჩევნებზე ფულისა და ხელისუფლების გავლენის მინიმუმამდე დაყვანა.

ოპოზიციამ კიდევ ერთხელ უნდა გამოამზეუროს, ხელისუფლებას რა მიზნებისთვის სჭირდება მაჟორიტარული არჩევნები.

არსებული შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნება კი ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ინარჩუნებს ერთპიროვნულად ისე, რომ მას არავის დახმარება არ დასჭირდება მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. ეს არის აქ მთავარი და სწორედ ამაზე უნდა გააკეთოს აქცენტი ოპოზიციამ.

***– პროცესი ჩიხიდან გამოვა?***

– მოლაპარაკებები და იქ გახმოვანებული შეთავაზებები არის ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი არის ეუთო-ოდირის დასკვნა. მე ოპოზიციას ვთავაზობ, რომ ახლავე დაიჭიროს თადარიგი და თქვას, რომ როგორც თავად ოპოზიცია დაემორჩილება ეუთო-ოდირის დასკვნას, მათ რეკომენდაციებს, ისევე დაემორჩილოს მას „ქართული ოცნება“.

ოპოზიციას აქვს შანსი, „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ მოიმწყვდიოს კუთხეში და ჩიხში შეიყვანოს ამ მოთხოვნით. ოპოზიციას ხელისუფლება მუდმივი ზეწოლის ქვეშ უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მას ადვილად მოერევა.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ: 598-43-98-57**

# დავით ბერძენიშვილი: „ოცნება“ არაადეკვატურობის ზენიტშია“

## „ამბოხებული ცრუ დიმიტრი შევარდა პარტიულ ველზე და ივანიშვილმა ძლივს შეძლო კომპრომისი“

იაგო ნაცვლიშვილი



ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ნელი ტემპით, მაგრამ დიალოგის კარი მაინც გაიხსნა. როგორც ოპოზიციის წარმომადგენლებმა თქვეს, ყინულმა ლღობა დაიწყო, თუმცა დასრულდება თუ არა დიალოგი კონკრეტული შედეგებით, ეს საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. კვირას გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციამ ხელისუფლებას მრავალმანდატიანი მაჟორიტარული არჩევნები შესთავაზა, ხელისუფლებას კი მოსაფიქრებლად ერთი კვირა აქვს.

დიალოგის მეორე რაუნდის შემდეგ „ქართული ოცნების“ ლიდერებმა თქვეს, რომ ხელისუფლებას პოზიციები არ დაუთმია და ეს თავად ოპოზიციამ გააკეთა. დიალოგის პარალელურად გრძელდება ოპოზიციის აქცია, მათ შორის გაგრძელდება პიკეტირებებიც.

რას ელოდებიან დიალოგისგან? როგორ აფასებს „იმედის“ ეთერში გამართულ დებატებს, სადაც „ოცნების“ წარმომადგენლები „ოცნების“ მეორე ფრთის წინააღმდეგ დასხდნენ სადებატოდ და რას ნიშნავს ის, რომ „ოცნება“ ოპოზიციას აქეთ უწყობს აქციებს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** საუბრობს:

***– დაიწყო დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, თუმცა კონკრეტული შედეგი ჯერ არ ჩანს. რა შედეგს ხედავთ?***

– როდესაც ხელისუფლებამ თავისი სიტყვები უკან წაიღო ურცხვად, რომელიც იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ დაპირებული და სალომე ზურაბიშვილის მიერ გაეროს ტრიბუნიდან გაჟღერებული, რომ პროპორციულ სისტემაზე გადავდივართ, ამის შემდეგ ხელისუფლების მიერ გადადგმული ყოველი მომდევნო ნაბიჯი წინაზე უჭკუო ნაბიჯია.

ახლა გამოიგონეს შიდა პარტიული დაპირისპირება მხარეებს შორის და ამბოხებული ცრუ დიმიტრი, უშიშარი ვითარცა უხორცო, შემოვარდა შიდა პარტიულ ველზე და „ქართულ ოცნებაში“ ბიძინა ივანიშვილმა ძლივს შეძლო ისტორიული კომპრომისის მიღწევა მის ამბოხებულ ნაწილთან და ეს ამბოხებულები დაასაჩუქრა თანამდებობით. ახლა ამ ყოველივეზე როგორ შეიძლება რაციონალური შეფასების გაკეთება?!

***– კვირას, „იმედის“ ეთერში იყო დებატები „ოცნება“ „ოცნების“ წინააღმდეგ. რა ასოციაცია გაგიჩნდათ?***

– ბუნებრივია, არ მინახავს, მაგრამ, როგორც კი გავიგე, რომ ასეთი ფსევდოდებატები უნდა გამართულიყო მთავარ პროპაგანდისტულ არხზე, ასოციაციები გამიჩნდა ისეთი, რომ ყველაზე უფრო მდარე საბჭოთა რაიონულ თეატრშიც კი არ იკადრებდნენ და არ გაუშვებდნენ ამას. ეს არის არაადეკვატურობის ზენიტი. ქვეყანაში არის დიდი პოლარიზაცია, ერთი მხრივ, „ქართულ ოცნებასა“ და მთელ პოლიტიკურ სპექტრს, არასამთავრობო სექტორს, დასავლელ პარტნიორებს, ევრონესტის ხელმძღვანელებს და ა. შ. შორის. ამ რეალური პოლარიზაციის იგნორირებით ბიძინა ივანიშვილმა გამოიგონა შიდა პარტიული ფსევდოკონკურენცია, რომლის გადაჭრის ფორმები, თითქოს მან მოიფიქრა – დაასაჩუქრა თანამდებობებით ფსევდოამბოხებულები.

მოკლედ, ასეთი მიდგომა არასერიოზულია და ასე არ წყდება პრობლემების მოწესრიგება. ამით შეიძლება თავისიანებს რაღაცა საკენკს უყრის პარალელურად, მაგრამ მათ თქვეს, რომ თემა დახურულია, რამდენიმე დღის შემდეგ. მათ საჯაროდ ჩაარაზინეს ჭიშკარი ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ მერე კალაძესვე გაახსნევინეს ეს ჭიშკარი. პირველი შეხვედრა შედგა ელჩების ინიციატივით.

მეორე შეხვედრაზე უკვე გვითხრეს, რომ, კი ბატონო, განვიხილავთო თქვენი გერმანული მოდელის პროპორციულის არა, მაგრამ აი მაჟორიტარულ ნაწილსო. აგერ დევს პარლამენტში, რეგისტრირებულია და გვითხრან კი ან არა ამ მოდელის თაობაზე. თუმცა, ეს არ ცვლის პროპორციულობის მოთხოვნას. ანუ, ისინი მუდმივად იძულებულები არიან თავი დაიცვან დასავლეთის წარმომადგენლებისგან.

***– თუმცა, ვნახეთ, რა კომენტარებიც გააკეთეს „ოცნების“ წარმომადგენლებმა კვირას გამართული შეხვედრიდან გამოსულებმა. მოვისმინეთ ჩვენ მდინარაძის თუ კობახიძის განცხადებები.***

– ეს იყო უნიჭო კომენტარები. თქვეს, რომ თავი დაანებეთ გერმანულ მოდელსო და ახლა მაჟორიტარულ ოლქებზე ვლაპარაკობთო და უი, რა კარგია არის ესაო.

***– დაახლოებით ასე ჟღერდა მათი შეფასებები, რომ ჩვენ კი არაფერი დაგვითმია რამე, არამედ ოპოზიციამ დათმო და ე. წ. გერმანულ მოდელზე აღარ ვსაუბრობთო. ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

– ასეთ რაღაცებზე მე არ შემიძლია პასუხების გაცემა. არასერიოზულია ასეთ განცხადებებზე პასუხები.

მათ ელჩებმა გადასცეს ჩვენ მიერ პარლამენტში დარეგისტრირებული და „ოდირში“ გაგზავნილი დოკუმენტი, რომლის ერთი ნახევარი არის მრავალმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების შესახებ და მათ უთხრეს, რომ ამაზე რას ფიქრობთ, გვითხარითო. მათ ანუ დიპლომატებს კი არ მოუტანიათ რამე, არამედ ჩვენი დოკუმენტები გადასცეს და უთხრეს, რა გინდათ გვითხარითო. აი ეს ვითარებაა და ახლა ისეთივე ხარისხის მჭევრმეტყველებაა მდინარაძის და სხვათა მხრიდან, როგორიც არის პროპაგანდისტულ არხზე ფსევდოდებატები შიდა პარტიულ ფსევდოდაპირისპირებაზე.

***– თქვენი – ოპოზიციის გეგმა შეიცვალა თუ ისევ იმ ხაზით მიდის, როგორითაც მიდიოდით აქამდე?***

– გეგმა ისეთივეა, როგორიც არის. არის აქციების გეგმაც, რომელსაც ასევე ვაგრძელებთ. ჩავატარეთ აქცია ქუთაისში, რომელიც იყო ნორმალური აქცია. სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაცია ატარებს აქციას სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციაც ატარებს აქციას. იქნება რეგიონებშიც მოზრდილი აქციები. პარალელურ რეჟიმში ჩვენ ველოდებით „ოდირიდან“ პასუხს. ახლა იქნება მოსამართლეების დამტკიცების საკითხიც. მოკლედ, მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესები. ახლა ჩვენ განვიხილავთ და მანამდე თქვენ აქციებზე უარი თქვით, ეს მიდგომა არასერიოზული კონტრწინადადებაა.

მე ველოდები ასეთ რაღაცას, რომ „ბრძენთა ბრძენმა“ ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ რეალური და ნამდვილი დაპირისპირება გადაფაროს მის პარტიაში ფსევდოკონკურენციის პროპაგანდით პროპაგანდისტულ არხზე და არა მხოლოდ ამ ერთი გადაცემით. მე ველოდები, რომ ბიძინა ივანიშვილმა შეიძლება შემოგვთავაზოს ასეთი რამე: – ერთი ნაწილი ითხოვს პროპორციულს ჩემსავე პარტიაში, მეორე ნაწილი ითხოვს სუფთა მაჟორიტარულს და ამ ფონზე მე შევძელი მათი გაერთიანება და იქნება ნაწილი პროპორციული და ნაწილი მაჟორიტარული, ანუ როგორც დღეს არის. შესაძლოა იქამდეც მივიდნენ, გვითხრან, რომ 2024 წელს... გაჟღერდა ორპალატიანი პარლამენტის მოთხოვნაც, რომ ზედა პალატა იქნება პროპორციული, ქვედა მაჟორიტარული, მაგრამ მაგას უნდა და საკონსტიტუციო ცვლილება ან 2/3 ორ პარლამენტში. მაგრამ არც ერთი აქვს ბიძინა ივანიშვილს და არც მეორე, ანუ ესეც ტყუილი იქნება თუ მაგალითად, გვეტყვის, რომ ორპალატიან სისტემაზე გადასვლას გეგმავს. ესეც იქნება მორიგი მდარე ტყუილი, რომელსაც მოკლე ფეხიც კი არ აქვს, არამედ ფეხი საერთოდ არ აქვს. იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ ხელში არ არის.

***– ეკა ბესელიამ დააანონსა აქცია სასამართლოს თემასთან დაკავშირებით. შეუერთდებით ამ აქციას?***

– არ ვიცი. ჯერ არ მომისმენია მისი ეს განცხადება. ეს თემა ყველასთვის მტკივნეული და მნიშვნელოვანია. ეკა ბესელიასთვის კი განსაკუთრებით მტკივნეულია, რადგანაც მაგ თემას დაუკავშირა მან ოპოზიციაში წასვლა. ამიტომ, ვნახავთ, რა ტიპის აქცია იქნება და ეს ყველაფერი საზოგადოებრივი პროტესტის შემადგენელი ნაწილია.

***– თავად „ქართულ ოცნებასაც“ აქვს დაანონსებული აქცია 14 დეკემბერს. ამ ფაქტს როგორ აფასებთ, როდესაც ხელისუფლება ოპოზიციას უმართავს აქციას?***

– ასეთი ხელისუფლება ცუდად ამთავრებს. 2012 წელს წინა ხელისუფლებამ სტადიონი ვერ გაავსო. ან რომც გაევსო, რა მნიშვნელობა აქვს?! იმის წინა ხელისუფლება მიტინგებს უმართავდა ოპოზიციას... როცა ხელისუფლებას არ აქვს ინსტიტუციური მართვის უნარი და დარბაზებიდან ვერ მართავს, ის გამოდის ქუჩაში. როცა ხელისუფლებას მის მიერ დასაქმებული თანამშრომლების, სსიპ-ების, აიპ-ების თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული პირები გამოჰყავს ქუჩაში, ეს უკვე ხელისუფლების კრახის დაანონსებაა.

# „2020 წელს არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება ნოემბერშივე გამოირიცხა“

## გიგა ბუკია: „ოცნება“ უზენაეს მოსამართლეობაზე 7-8 კანდიდატს დაუჭერს მხარს“

მარიამ მჭედლიშვილი

საარჩევნო საკითხების განხილვის პარალელურად, ქვეყანაში არ წყდება აქციები და კონტრაქციები. ამ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატორ დეპუტატ **გიგა ბუკიას**, რომელმაც თანაპარტიელებთან ერთად ცოტა ხნის წინ დატოვა პარლამენტის უმრავლესობა და საპარლამენტო თანამდებობები.

***– ეუთოში ექსპერტიზისთვის გაიგზავნა გერმანულ-ქართული საარჩევნო მოდელი, რომლის მიღებასაც ოპოზიცია მოითხოვს. რა მოლოდინი გაქვთ?***

– რა ბედი ელის გერმანულ მოდელს, ამაზე ზუსტად ვერ გიპასუხებთ. ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ეს სისტემა ახალი არ არის და საქართველოში პირველად არ იხილება. ამაზე მსჯელობა იყო ჯერ კიდევ 2015 წელს. მაშინ ჩვენ ვიყავით „ქართული ოცნების“ უმრავლესობაში. მმართველ კოალიციას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვქონდა. პირადად ვიყავი მომხსენებელი საარჩევნო საკითხზე. გვინდოდა, რომ პროპორციული სისტემა დაგვემტკიცებინა 2020 წლის არჩევნებისათვის.

მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ ამაში მხარი არ დაგვიჭირა. ნაციონალები იძახდნენ, რომ 2016 წლის არჩევნებისთვის უნდოდათ პროპორციული სისტემა. გერმანული მოდელი სწორედ იმ დროს განიხილებოდა. მაშინაც იყო საუბარი იმაზე, რომ ის შეუსაბამოა კონსტიტუციასთან. კონსტიტუციონალისტი არ გახლავართ. არის თუ არა ეს ასე, სპეციალისტების გადასაწყვეტია. ის ვიცი, რომ ეს მოდელი კითხვებს აჩენს.

***– კვირას, საარჩევნო საკითხებზე მოლაპარაკებების მეორე რაუნდის დროს, შეეხნენ მრავალმანდატიანი ოლქების შემოღებას მაჟორიტარულ ნაწილში.***

– ეს ამ მოლაპარაკებებში სიახლე აღმოჩნდა. ისე, მრავალმანდატიან ოლქებზე ადრე გვისაუბრია. არსებობს მრავალმანდატიანი მაჟორიტარული არჩევნების რამდენიმე ვარიაცია. მაგალითად, ყველა ბარიერგადალახულისთვის. რომელი ვარიანტი უნდა განიხილონ, ჯერ გაურკვეველია.

ნებისმიერ შემთხვევაში, მრავალმანდატიანობა შეეხება 73-ს. ასარჩევი მაჟორიტარების რაოდენობა ისევ 73 იქნება. ეს არის შანსი სხვა პოლიტიკური ძალებისთვის, რომ მათ გაიყვანონ მაჟორიტარები.

***– როცა რამე საკითხზე მხარეები მოსალაპარაკებლად სხდებიან, წყდება დაპირისპირება. ჩვენს შემთხვევაში მმართველი პარტია და ოპოზიცია თან მაგიდასთან სხედან და თან აქციებსა და კონტრაქციებს აგრძელებენ.***

– პირადად მე დიალოგის გაგრძელებისთვის მეორე რაუნდის დროს დავინახე საფუძველი და ახალი თემა – მრავალმანდატიანი არჩევნები. პროტესტის უფლებაც ყველას აქვს. მთავარია, არ იყოს შეჭრები, ძალადობა და ხელისუფლების დამხობის მცდელობა. კონსტიტუციურ ფარგლებში პროტესტის გამოხატვის უფლება პარტიებს აქვთ. ისიც გასაგებია, რომ ამას ნაციონალური მოძრაობა თავის სასარგებლოდ იყენებს. მას აწყობს რადიკალიზაცია და ორპარტიულობა. „ქართულ ოცნებაშიც“ არიან ადამიანები, ვისაც სწორედ ასეთი სიტუაცია უნდა.

ჩვენ, კონსერვატორები, პროპორციული არჩევნების მოსურნეები იმიტომ ვართ, რომ არ გვინდა ორპარტიულობა, მარტო თეთრი და შავი, მარტო „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა.



***– ამ დაძაბულ ფონზე მარტო მაჟორიტარული სისტემის შემოღების ინიციატორებიც რომ გამოჩნდნენ, ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

– ამ იდეით გამოდიან მაჟორიტარები, რომლებმაც იმ კენჭისყრის დროს პროპორციული სისტემა ჩააგდეს. მათ ჯერ ხელი მოაწერეს პროპორციული სისტემის კანონპროექტს, იყვნენ მისი ინიციატორები, მოგვიანებით კი თავისივე ინიციატივა ჩააგდეს. რამით თავი რომ იმართლონ, დააყენეს ახალი ინიციატივა სრულად მაჟორიტარული არჩევნების შესახებ. ალბათ, უნდათ, იმის დამტკიცება, თუ როგორი „პრინციპულები“ არიან.

ყველაზე უარესი მაინც ისაა, რომ რადიკალიზაცია იზრდება. დიდი რადიკალიზაცია და პრესინგი თუ იქნება, „ქართული ოცნება“ მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას მიიღებს.

***– ამის მართლა გჯერათ? საკონსტიტუციო უმრავლესობის მოლოდინი თვითონ „ქართულ ოცნებაშიც“ არ აქვთ.***

– ამ შერეული არჩევნებისა და ორპარტიულობის პირობებში „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობაც შეიძლება ჰქონდეს. ეს რომ შესაძლებელია, ამისთვის ერთ მაგალითს მოვიყვან. ეს მაგალითი ნაციონალურ მოძრაობას ეხება. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ „ქართულ ოცნებას“ ნაცმოძრაობას ვადარებ.

2008 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილმა მიიღო ხმების მცირე რაოდენობა. მან ძლივს შეინარჩუნა პრეზიდენტობა. ცოტა ხანში გაიმართა არჩევნები, სადაც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო 60%-ზე მეტი. ეს იყო პრესინგის შედეგი.

***– ახლაც პრესინგი იქნება?***

– „ქართულ ოცნებას“ დააკლდა ამომრჩეველი, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობას ეშინია ნაციონალური მოძრაობის დაბრუნების. თუ ამას დაემატება შერეული სისტემა, მაჟორიტარების ხარჯზე „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს დიდი უპირატესობით.

***– ფიქრობთ, რომ საპარლამენტო არჩევნები, დიდი ალბათობით, მოქმედი სისტემით გაიმართება?***

– ყოველ შემთხვევაში, პროპორციული სისტემა გამოირიცხება. 2020 წელს არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება ნოემბერშივე გამოირიცხა. ეს მოხდა იმ კენჭისყრის დროს, რომლის შემდეგაც ჩვენ უმრავლესობა დავტოვეთ. შეიძლება მოხდეს სხვა ცვლილება. მაგალითად, ერთმანდატიანი ოლქები შეიცვალოს მრავალმანდატიანით.

***– ეს თამაშის წესებს არ შეცვლის?***

– არა. ამით განსაკუთრებული ძვრები არ ხდება.

***– ევროდეპუტატები საქართველოში შექმნილ მდგომარეობას პოლიტიკურ კრიზისს უწოდებენ.***

– ხვალ რა მოხდება, არ ვიცით. დღეის მდგომარეობით, პოლიტიკური კრიზისი არ არის. კრიზისია მაშინ, როცა ვერ ფუნქციონირებს სახელმწიფო, ვერ მიიღება გადაწყვეტილებები.

ქვეყანაში დიდი დაძაბულობაა. ის გამოიწვია პროპორციული სისტემის კანონპროექტის ჩავარდნამ. ამან პარტიები შოკში ჩაგვაგდო. მაჟორიტარების ბრალია ეს თუ სხვისი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამაზე პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს „ქართულ ოცნებას“.

***– ოთხშაბათს პარლამენტში კენჭი უნდა უყაროთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს. რას ელით?***

– როცა ჩვენ ჯერ კიდევ უმრავლესობაში ვიყავით, მაშინ გადაწყდა თავისუფალი კენჭისყრა ყველა მოსამართლეზე. დღეს რა გადაწყვიტა უმრავლესობამ, არ ვიცი.

ოცივე კანდიდატურას უმრავლესობის მხარდაჭერა არ ექნება. განხილვებზე ვისაც ვისთან შეკითხვები ჰქონდა, დაისვა.

როგორც ვიცი, 7-8 კანდიდატს აქვს მხარდაჭერა.

# „ჩვენ რამდენიმე დღე დაგვჭირდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

განაწილდეს მანდატები და არა გერმანული მოდელის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საშუალება, ვიფიქროთ მრავალ თემაზე საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში.

ჩვენ ცალსახად პირველივე შეხვედრაზე დავადასტურეთ, რომ ეს საკითხი, თუ ვიმსჯელებთ, მაჟორიტარული სისტემის შიგნით როგორ განაწილდეს მანდატები, ცალსახად შეესაბამება კონსტიტუციას, მაგრამ მიზანშეწონილობაზე უნდა ვილაპარაკოთ ამ შემოთავაზების მიღების შემდეგ.

ჩვენ ეს შეთავაზება მივიღეთ გუშინ, ჩვენ ამ კვირის განმავლობაში ვიმსჯელებთ ამ საკითხზე უფრო დეტალურად, უფრო მეტი დრო გვექნება და, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე გარკვეული გადაწყვეტილების კონტურები – ზუსტად მსგავს მოდელზე ვსაუბრობთ, რაღაცა სხვა ვარიანტს ვთავაზობთ თუ ა.შ. კონკრეტულად რამდენიმე დღის შემდეგ ალბათ გეცოდინებათ, – განაცხადა მდინარაძემ.

# დავით ლორთქიფანიძე: „თუ ნაცები დაბრუნდნენ, სიცოცხლე შესანარჩუნებელიც იქნება და გადასარჩენიც“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დავით, საით მიდის პროცესები? გამოჩნდა რაღაც შანსი, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია შეთანხმდნენ?

– საუბარია მაჟორიტარული ოლქების გამსხვილებასა და ერთ ოლქში მრავალმანდატიანი არჩევნების ჩატარებაზე. ამაზე იქნება მსჯელობა და მომავალში გავიგებთ, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

***– თქვენ ოპოზიციური ბრძოლის დიდი გამოცდილება გაქვთ. რატომ არ მოგწონთ დღევანდელი ოპოზიციის ბრძოლა, რომ მიიღოს ის საარჩევნო სისტემა, რომელზეც შეპირება იყო?***

– აქ საუბარია იმაზე, ვის პოზიციას ახმოვანებ. ჩვენ რომ ვიბრძოდით, ჩვენ უკან არ იყო სისხლი, ქუჩებში არ იყო გვამები, არ იყო შანტაჟი და დაკარგული ტერიტორიები. დღეს ამის შემოქმედი, ყოფილი ხელისუფლება აპროტესტებს, რომელიც ამოფარებულია იმ ახალგაზრდებს, რომლებიც შეიძლება აბსოლუტურად ენთუზიაზმით მოქმედებენ და არ იცნობენ ნაციონალური რეჟიმის ანატომიას. ამიტომ ამ ე.წ. ოპოზიციის ქმედებები ძალიან სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს და მშვიდად ვერ ვუყურებ მათ განცხადებებს.

***– 20 ივნისის მოვლენების დროსაც დაკარგეს თვალი. ამან ჩრდილი არ მიაყენა „ოცნების“ ხელისუფლებას?***

– რა თქმა უნდა, 20 ივნისის მოვლენებმა მმართველ პოლიტიკურ პარტიას გარკვეული ჩრდილი მიაყენა. მით უფრო, როდესაც საქმე ადამიანის დაზიანებას, თვალის დაკარგვას ეხება. მე მათ ვუთანაგრძნობ. თუმცა, აბსოლუტურად დისპროპორციულია შედარება გვამებსა და ამ ადამიანებს შორის, როდესაც მხოლოდ 26 მაისს, რუსთაველის პროსპექტზე დარბევის შედეგად, 4 გვამი დარჩა – კვინტრაძე, ასათიანი და კიდევ ორი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

აქედან ორ ადამიანს თითქოს დენმა დაარტყა და მაღაზიის თავზე დააგდეს. ამიტომ აქ შედარება აბსოლუტურად უადგილოა, მაგრამ 20 ივნისის ღამეს ჩვენთვის სახელი რომ არ მოუტანია, ამაზე არც არავინ დავობს. გამოძახილიც დიდი იყო. გულისტკივილის გამო ხელისუფლებამ გარკვეული ზომები მიიღო – პარლამენტის თავმჯდომარე გადადგა და პარლამენტის ერთმა წევრმა მანდატზე უარი თქვა.



***– ერთ-ერთ შეხვედრაზე გნახეთ შვილმკვდარ მამებთან, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ დღევანდელი ოპოზიციის, ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილის გამო. ახლა რატომ გადაწყვიტეთ მათ გვერდით დადგომა?***

– ამდენი წლის შემდეგ, შვილმოკლული მამები და მათი ოჯახები ერთად დადგნენ, რადგან ნაცრეჟიმის დაბრუნების საშიშროება დაინახეს, რაც გამოკრთა ბოლოდროინდელ აქტივობებში.

***– რა საშიშროება დაინახეს?***

– ამ ადამიანებისთვის არავის დაუძახია. ისინი თავად შეიკრიბნენ, რადგან დაინახეს რეალური საშიშროება. მათ შექმნეს ორგანიზაცია „შევინარჩუნოთ სიცოცხლე“. მე პრეზენტაციაზე ვიყავი მიწვეული. ნაციონალების დროს მათ შექმნილი ჰქონდათ ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე“.

ნაცრეჟიმმა დაახლოებით 150 ახალგაზრდა გამოასალმა სიცოცხლეს. 700-მდე ადამიანი საპატიმრო ადგილებში იქნა ლიკვიდირებული, 300 ათას ადამიანზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. 30 ათას ადამიანამდე პატიმარი ჰყავდათ ციხეში, ანუ მთელი ქვეყანა ერთ დიდ ციხედ და სასაფლაოდ იყო გადაქცეული. მათ შორისაა სულხან მოლაშვილის საქმე.

***– ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ მისი მწამებელი დღემდე დასჯილი არ არის?***

– არის სერიოზული ხარვეზები გამოძიების ტემპთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ამ ორგანიზაციის შექმნა თვითონ ხელისუფლებისთვისაც იქნება იმის ნიშანი, რომ საგამოძიებო მოქმედებები დაჩქარდეს და ყველა დამნაშავემ პასუხი აგოს.

***– ანუ შვილმოკლული მამები შეშინდნენ, ნაცები ხელისუფლებაში არ დაბრუნდნენ?***

– დიახ, თუ ნაცები დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, სიცოცხლე იქნება შესანარჩუნებელიც და გადასარჩენიც.

***– უსუფაშვილიც საუბრობდა გადარჩენაზე, მაგრამ ნაცმოძრაობის, რომელიც იმ პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ, როდესაც თქვენ დეპუტატი ბრძანდებოდით.***

– უსუფაშვილმა ეგ სადღაც თქვა. ამის გამო მისმა პოლიტიკურმა ძალამ არჩევნებზე პასუხი აგო. ამიტომ პოლიტიკოსები ფრთხილ განცხადებებს უნდა აკეთებდნენ. ეს არის რესპუბლიკური პარტიისა და უსუფაშვილის პრობლემა.

***– ჩემ ირგვლივ ბევრი იყო პროპორციული არჩევნების მომხრე, მაგრამ იმის გამო, რომ ნაციონალები არიან ჩართული მაღალი დოზით, აქციაზე არ გამოდიან. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების დიდი ნაწილი პროპორციული არჩევნების მომხრეა.***

– ეს თქვენი სუბიექტური აზრია. შეიძლება პროპორციული არჩევნების მომხრე ბევრია, მაგრამ რადგან ხედავენ, რომ ნაციონალებია ამ პროცესის გენერატორები, არ აპროტესტებენ.

***– ხელისუფლების პასუხისმგებლობას ვერ ხედავთ პროპორციული არჩევნების ჩაგდებაში?***

– ქვეყანაში არსებული ვნებათაღელვის წარმოქმნაში, რა თქმა უნდა, პარლამენტის აღნიშნულ გადაწყვეტილებას თავისი წვლილი აქვს, რაც ჩვენ გვაზიანებს. მთავარია, კარგად ავუხსნათ, რა შეიძლება მოჰყოლოდა პროპორციულ სისტემას

***– რას გულისხმობთ?***

– ადამიანები, რომლებსაც შესთავაზეს, პროპორციული წესით არჩევნები ჩაეტარებინათ, იმ წუთიდან შეტევაზე გადავიდნენ, აგრესიაზე, თითქოს ხელისუფლებას წაართვეს, ხელიდან გამოგლიჯეს პროპორციული არჩევნები.

შემდეგ გადავიდნენ ადამიანების პიროვნულ შეურაცხყოფაზე, მონების ძახილზე და ფიზიკური დისკომფორტის შექმნაზე. ამიტომ, როდესაც მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ხარ და ღებულობ გადაწყვეტილებას ქვეყნის სტაბილურ მდგომარეობაზე, დაფიქრდები, რომ დაგჭირდეს ამ დესტრუქციულ ელემენტებთან კოალიციური მთავრობის შექმნა, შენი პასუხისმგებლობაა. ქვეყნის მართვაზე ამ ხალხთან ერთად პასუხისმგებლობის აღება წარმოუდგენელია. ამან განაპირობა ყველაფერი.

***– რატომ იყო დარწმუნებული „ოცნება“, რომ პროპორციული არჩევნების შემთხვევაში, მაინცდამაინც ნაცმოძრაობასთან კოალიციური მთავრობის შექმნის საკითხი დადგებოდა?***

– მხოლოდ ნაცმოძრაობაზე არ არის ლაპარაკი, დღეს, ფაქტობრივად, ყველა ე.წ. პოლიტიკური ძალა (რომლებიც რამდენიმე კაცისაგან შედგება) ნაცმოძრაობის ფრთის ქვეშაა გაერთიანებული.

არ ვამბობ, რომ ყველა მათთანაა გაერთიანებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ პოლიტიკური ამინდის შექმნა არ შეუძლიათ.

რაღაც ხმების აღება და დესტაბილიზაციის შემოტანა კი შეუძლიათ.

## თბილისში 32 წლის ქალი გაზით გაიგუდა, მისი 22 წლის ძმა კი მძიმედ მოიწამლა

### რა მოხდა მიხეილ მესხის ქუჩაზე

თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მიხეილ მესხის ქუჩაზე ბუნებრივი აირის ნამწვით 32 წლის ქალი დაიღუპა, მისი 22 წლის ძმა კი მოიწამლა.

მოწამლული ახალგაზრდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ახალგაზრდა ქალი კი საავადმყოფოში შეყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

– 8 დეკემბერს, დილის 10:20 საათზე შემოყვანილი იქნა ქალბატონი, 32 წლის, სავარაუდოდ ნახშირბადის მონოქსიდის ტოქსიკური ეფექტის დიაგნოზით. შემოსვლისას პაციენტის მდგომარეობა იყო კრიტიკული, იმყოფებოდა კომატოზურ მდგომარეობაში, გადაყვანილი იქნა მართვით სუნთქვაზე.

ჩატარებული კვლევების შემდეგ, რეანიმაციულ განყოფილებაში იქნა ამოყვანილი. პაციენტის მდგომარეობა რჩებოდა კრიტიკული. 17:45 საათზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი, – განაცხადა ექიმმა მაია თოფჩიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ასევე კრიტიკულ მდგომარეობაში შეიყვანეს კლინიკაში ახალგაზრდა ქალის 22 წლის ძმაც.

– შემოსვლისას გადაყვანილ იქნა მართვით სუნთქვაზე. მოთავსდა რეანიმაციულ განყოფილებაში, რის შემდგომაც, პატრონების მოთხოვნით, პაციენტი გადაყვანილ იქნა სხვა კლინიკაში, – განაცხადა ექიმმა.




თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მიხეილ მესხის ქუჩაზე შემთხვევა რამდენიმე საათის წინ მოხდა. ბუნებრივი აირის ნამწვით 33 წლის გოგო დაიღუპა, მისი 22 წლის ძმა კი მოიწამლა. არსებული ინფორმაციით, ბინა გაქირავებული იყო.

„თბილისი ენერჯიში“ განაცხადეს, რომ მობინადრეს აკრძალული დანადგარები ივნისის თვეში ერთხელ უკვე ჩაუხსნეს და გააფრთხილეს, მაგრამ მან ხელმეორედ, კუსტარულად დააერთა.

ბინაში სამი აკრძალული, ღიაკამერიანი წყლის გამაცხელებელი გამწოვი მილის გარეშე იყო დამონტაჟებული და გაზის ნამწვი ბინაში გროვდებოდა.

გამოძიება სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

## დირბში სიძის მკვლელობისთვის მისი ცოლისძმა დააკავეს




სოფელ დირბში მომხდარი მკვლელობა გახსნილია.

სიძის მკვლელობის ბრალდებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი ცოლისძმა დააკავა.

დაკავებული 1996 წელს დაბადებული პირია, რომელსაც უწყება განზრახ მკვლელობას ედავება.

არსებული ინფორმაციით, სიძე ცოლისძმამ ცულით მოკლა.

საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში 22 წლის ახალგაზრდა 6 დეკემბერს მოკლეს. მკვლელობის მიზეზად ურთიერთშელაპარაკება სახელდება.

## მეორეკლასელს ავტომობილი დაეჯახა

გლდანში, 39-ე სკოლასთან, მსუბუქი ავტომობილი სკოლის მოსწავლეს დაეჯახა.

დაზარალებული მეორე კლასის მოსწავლეა და მას სერიოზული დაზიანებები არ აღენიშნება.

თვითმხილველების განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე სკოლაა განთავსებული, მსგავსი შემთხვევა რამდენჯერმე დაფიქსირდა.




## სერგი კაპანაძე: „მშვიდობიანი პიკეტირება იქნება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული შეთანხმება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– აქციები გაგრძელდება. მშვიდობიანი პიკეტირება იქნება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული შეთანხმება.

***– თქვენი მოლოდინი როგორია ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით? წამოვა ამ ახალ ინიციატივაზე?***

– არ ვიცი, ეს ძალიან ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეყოფა გონიერება ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ეს ინიციატივა იყო ჩვენი, დოკუმენტი დევს პარლამენტში. დღეს კი ვიღაც-ვიღაცები აცხადებენ, რომ ეს მათი იდეაა, კი ბატონო, გაასაღონ საკუთარ იდეად, მთავარია, რომ შეთანხმება შედგეს.

***– რამდენად გაქვთ იმედი, რომ შეთანხმება შედგება?***

– არ მაქვს. ჩვენ გვანახა ივანიშვილმა, რომ მის სიტყვას არ უნდა ენდო. ამიტომ, სანამ არ იქნება მიღებული ეს კანონი, მანამდე არანაირი მოლოდინი არ მექნება. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს მშვიდობიან პროტესტს და პარალელურად დიალოგს. როდესაც მივაღწევთ შეთანხმებას, თუ მივაღწიეთ, მერე გავაკეთებ ამაზე შეფასებას.

***– რა განსხვავებაა გერმანულ მოდელსა და იმ მოდელს შორის, რომელიც თქვენ პარლამენტში შეიტანეთ და რომელზეც ახლა მიდის მსჯელობა?***

– ჩვენ მიერ ინიცირებული კანონპროექტი შედგება რამდენიმე კომპონენტისგან. ერთი მხრივ, ეს არის მანდატების კომპენსირების სისტემა, მეორე მხრივ, ეს არის ზედა ჭერის დადგენის პრინციპი. საბოლოო ჯამში, ამოცანა ამ ორივესი არის ის, რომ რამდენ ხმასაც მიიღებს პოლიტიკური ძალა, იმის პროპორციული მანდატები ჰქონდეს პარლამენტში. მესამე კომპონენტიც ზუსტად იგივე მიზანს ემსახურება, ეს არის მრავალმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების შექმნა.

***– ხომ არ გაძლიერდა წნეხი დასავლეთიდან და მიტომ ხომ არ გადაწყვიტა „ოცნებამ“ მოლაპარაკების მაგიდას მისჯდომოდა?***

– რა თქმა უნდა. უდავოდ ასეა. ისინი არც აპირებდნენ ამას. გვესმოდა მათი განცხადებები, რომ საკითხი დახურულია, რომ არანაირი მოლაპარაკებები არ იქნება და აქ ადგილობრივმა საელჩოებმა და მათმა აქტიურობამ ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ევროპარლამენტარების მიერ გაკეთებულმა მნიშვნელოვანმა განცხადებებმა, მესამე მხრივ, მაღალი დონის განცხადებებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა ჩვენი პარტნიორების მხრიდან, უზრუნველყო ის პროცესი, რომ ეს დისკუსია დაიწყო და ისინი წამოვიდნენ დიალოგზე. რა თქმა უნდა, ეს იყო საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობის შედეგად.

***– თუმცა მაინც გაქვთ იმის შიში, რომ ივანიშვილმა, შესაძლოა, კიდევ გადააგდოს საზოგადოება?***

– არაფერს არ ვშიშობთ, უბრალოდ, ჩვენ არ ვენდობით მაგ ადამიანს ბოლომდე, სანამ ყველაფერი არ იქნება შეთანხმებული.

***– თუმცა დასავლეთის ასეთი აქტიური ჩართულობა იმედს იძლევა.***

– ეს არის ფაქტორი იმისა, რომ ის წამოვა მოლაპარაკებაზე. ჩვენ არ ვენდობით მას, ჩვენთვის მის სიტყვას ფასი არ აქვს. რადგან მის სიტყვას ფასი არ აქვს, აქედან გამომდინარე შეუძლებელია, რომ მას ენდო.

***– ხელისუფლება გამუდმებით ერთი და იგივეს აცხადებდა, რომ მათ აღარ აქვთ იმის რესურსი, რომ ახალი ცვლილებები გაატარონ. ამ შემთხვევაში რა იქნება?***

– ამ ცვლილებას არ სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა. სჭირდება 75 დეპუტატი და 50-მდე დეპუტატი ისედაც მხარს უჭერს, რომელიც არის ან ოპოზიციაში, ან უმრავლესობის გარეთ. ამიტომ არანაირი პრობლემა საკონსტიტუციო უმრავლესობასთან დაკავშირებით ამ სისტემას არ აქვს.

***– უმრავლესობის შიგნით, მაჟორიტარების ერთი ჯგუფი აქტიურად ითხოვს, რომ გადავიდეთ სრულიად მაჟორიტარულ სისტემაზე. ამაზე რას იტყვით?***

– ეს სრულიად აბსურდული იდეაა და რაღაც ახალი თამაშია. თვალებში ნაცრის შეყრის მცდელობაა მათი მხრიდან. მე ამაზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

# ვალებში ჩავარდნილი მრავალშვილიანი დედა მილიონერი გახდა



ინგლისის დარემის საგრაფოს ქალაქ სიჰემის მცხოვრები ბინგოს ონლაინ-თამაშის წყალობით მილიონერი გახდა.

51 წლის ანიტა კემპბელმა, ოთხი ბავშვის დედამ, აღიარა, რომ ბოლო წლებში თავი გაჭირვებით გაჰქონდა და ვალებში ჩაეფლო. მან ბინგოს თამაში დაიწყო და სულ რაღაც ათ დღეში მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

– თითქოს სიზმარში ვარ, ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებ, – ამბობს ბრიტანელი ქალბატონი, – უზომოდ ვარ გახარებული იმის გამო, რომ ჩემი შვილების ცხოვრების გაუმჯობესებას შევძლებ.

– უმძიმესი დროება გვედგა, ძალიან გავხდი, ვინაიდან საჭმელზე ფული არ გვყოფნიდა. ამან კი ჩემს ჯანმრთელობაზეც უარყოფითად იმოქმედა, – აცხადებს კემპბელი.

მრავალშვილიანმა დედამ 597 ათასი ფუნტი სტერლინგი ბინგოს თამაშში სულ რაღაც ორ საათში მოიგო. ათი დღის შემდეგ მან გადაწყვიტა, ისევ ეცადა ბედი და კიდევ 522 ათასი ფუნტის მფლობელი გახდა.

კემპბელი ნაქირავები ბინიდან უკვე საკუთარ საცხოვრებელში გადავიდა, ასევე დაფარა ვალები. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად მსხვილი მოგებისა, ბინგოს თამაშს კვლავაც გააგრძელებს.

# მამაკაცმა შეყვარებულისთვის ხელის სათხოვნელად მაღაზიის ძარცვა გაითამაშა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონის მკვიდრმა მაღაზიის ძარცვის ინსცენირება მოაწყო იმისთვის, რათა შეყვარებულისთვის ხელი ეთხოვა.

ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის ვინაობაც უცნობია, მაღაზიაში გოგონასთან ერთად მივიდა. როდესაც წყვილი ფულის გადახდას აპირებდა, მაღაზიაში „მძარცველები" შეცვივდნენ. შემდეგ ცრუ ბოროტმოქმედი გაუჩინარდა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა.

თავდამსხმელმა წყვილი მაღაზიის სიღრმეში შერეკა და მათ უცნაური შეკითხვების დასმა დაუწყო. კითხვაზე, ჰყავდათ თუ არა ბავშვები, შეშინებულმა ქალმა უპასუხა, რომ სამი ბავშვი ჰყავდათ. ცრუ მძარცველი შეკითხვების დასმას აგრძელებდა და ჰკითხა, თუ სამი ბავშვის მშობლები რატომ არ იყვნენ დაქორწინებული.

ამ დროს ახალგაზრდა მამაკაცმა ცალ მუხლზე დაიჩოქა და შეყვარებულს ხელი სთხოვა. შიშისგან აკანკალებული ქალი მიხვდა, თუ რა ხდებოდა და დაინტერესდა: „შენ ამას სერიოზულად მთავაზობ?"



მოგვიანებით მამაკაცმა ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეო გამოაქვეყნა და განმარტა, რომ მას ისევე, როგორც მის მეგობარ გოგონას, არ სურდათ ხელის თხოვნა „ტრადიციული ხერხით".

მან მომხდარის გამო მოიბოდიშა და გოგონას კიდევ ერთხელ სთხოვა ცოლობა. ამჯერად მისგან თანხმობა მიიღო.

# აშშ უკრაინას სამხედრო დახმარებას გაუზრდის



აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ესპერმა განაცხადა, რომ უკრაინას სამხედრო დახმარებას გაუზრდიან. ესპერმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინულმა არმიამ უმოკლეს ხანში უდიდესი პროგრესი განიცადა და ბრძოლისუნარიან, პატრიოტული სულით დამუხტულ სტრუქტურად ჩამოყალიბდა.

– ჩვენც უკრაინას სამხედრო დახმარება გავუზარდეთ, – თქვა ესპერმა.

ამით ვაშინგტონმა კრემლს სიგნალი გაუგზავნა, რომ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული არც ერთი აქცია დაუსჯელი არ დარჩება.

# ჩრდილოეთ კორეა აშშ-სთან მოლაპარაკებებზე უარს აცხადებს

ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელმა გაეროში კიმ სინგმა განაცხადა, რომ დენუკლერიზაციის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე აქტუალური აღარ არის.

– ამერიკელები ცდილობენ, ხაფანგი დაგვიგონ და მოლაპარაკებები გააჭიანურონ, – თქვა კიმ სინგმა.

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა თავის მხრივ განაცხადა, რომ რაკეტების გამოცდები განახლდა.

# ფინეთის პრემიერი 34 წლის ქალი გახდება



მედიის ინფორმაციით, ფინეთს მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი ეყოლება. 34 წლის სანა მარინი კოალიციურ მთავრობას მომავალი კვირიდან უხელმძღვანელებს.

ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი სოციალურ-დემოკრატიული პარტიიდან, ამ თანამდებობაზე ანტი რინეს შეცვლის. ანტი რინემ თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც კოალიციის წევრების ნდობა ფოსტის თანამშრომლების გაფიცვის შემდეგ დაკარგა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მოსწავლეებმა ცუდი ნიშნების მიღების გამო სკოლა გადაწვეს

სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში მოსწავლეებმა სკოლა მას შემდეგ დაწვეს, რაც მათ მიერ მიღებული ნიშნები უსამართლოდ მიიჩნიეს.

ერთი კვირის წინ მოსწავლეებმა თავიანთი ნიშნები ნახეს. მათ ჩათვალეს, რომ ისინი დაუმსახურებლად დაბალი იყო და შენობას ცეცხლი წაუკიდეს. ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა ცეცხლი ჩააქრეს. აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა სკოლის შენობა მთლიანად დამწვარია და აღდგენას აღარ ექვემდებარება. განათლების ეროვნული დეპარტამენტის წარმომადგენელმა კვაზი მტხეტვამ მოსწავლეებს მოუწოდა, პრობლემების ძალადობის, ვანდალიზმისა და ნგრევის გზით მოგვარებას თავი აარიდონ.

პოლიციამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო. ჯერჯერობით არავინ დაუპატიმრებიათ. ხანძრის ოფიციალური მიზეზი არ სახელდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# შერმადინი ესპანეთის ჩემპიონატში ტურის საუკეთესო გახდა

გიორგი შერმადინი შესანიშნავ სეზონს ატარებს. არ აქვს მნიშვნელობა, ესპანეთის ჩემპიონატი იქნება თუ ფიბა-ევროპის ჩემპიონთა თასი. ჩვენებურმა ამჯერად ესპანეთის ჩემპიონატის მე-11 ტურში გაიბრწყინა – კუნძულელებმა მურსიას უმასპინძლეს და ქართველი ცენტრის დომინანტური თამაშის წყალობით 85:78 გაიმარჯვეს.

შერმადინმა, სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 30 წუთში 25 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. თითქოს ისეთი ციფრები არაა, რომ სარგებლიანობის ინდექსი 38-ამდე ასულიყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართველმა ცენტრმა ძალიან აკურატულად ისროლა, 25 ქულა ისე მოაგროვა, მთლიანობაში მხოლოდ 2 ბურთი ააცილა – 1 საჯარიმოდან და 1 – თამაშიდან. ასევე, გიორგიმ უჯარიმოდ ითამაშა, მასზე კი მეურვეები 7-ჯერ დაჯარიმდნენ.

შერმადინმა 9-დან 8 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო ჩააგდო. ის ფაქტობრივად შეუჩერებელი გახლდათ და ტენერიფელთა გამარჯვებაშიც უდიდესი წილი სწორედ მას ეკუთვნის. 13 ქულით გიორგის ხელი დანი დიესმა წააშველა, 11 ქულით კი – მარსელინიო უერტასმა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატში შერმადინის რეკორდი 29 ქულაა, რომელიც მან 2016 წლის 3 იანვარს, ანდორაში თამაშისას, მონბუსის წინააღმდეგ ჩააგდო. თუმცა იმ მატჩში შერმადინის სარგებლიანობის ინდექსმა 34 ერთეული შეადგინა.

შერმადინი ესპანეთის ლიგა ენდესას მე-12 ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. მიმდინარე სეზონში მეორედ (მეათე ტურში მიიღო მვპის ტიტული) და კარიერაში მეექვსედ. თუმცა, ამჯერად, გიორგის საპატიო წოდების გაყოფა მალაგას უნიკახას წევრ ხაიმე ფერნანდესთან მოუწია, რადგან ორივემ ტური მარგი ქმედების 38 კოეფიციენტით დაასრულეს.

6 მოგებითა და 5 წაგებით ტენერიფე ცხრილში 6-8 ადგილებს ბექა ბურჯანაძის გრან კანარიასა და ყოფილ კლუბ ანდორასთან იყოფს.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ შინ ურთულესი მატჩი გამართა კატალონიურ ხუვენტუდთან. მე-3 პერიოდის შემდეგ ბასკები 13 ქულის სხვაობით იგებდნენ, თუმცა სტუმრებმა ბოლო 10-წუთეულში თამაშის შემოტრიალება სცადეს და გამარჯვებამდე ცოტა დააკლდათ. საბოლოოდ 87:86 ბასკონიას სასარგებლოდ.

შენგელია მასპინძელთა სნაიპერი გახდა – მის ანგარიშზე 19 ქულა დაფიქსირდა. ჩვენებურის სრული მონაგარი ასეთი იყო: 31 წუთი, 19 ქულა (7-დან 5 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, 8-დან 6 საჯარიმო), 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა. ბასკების ვიცე-ბომბარდირი საქართველოს ნაკრების ამერიკელი ლეგიონერი მეტ ჯენინგი გახდა – 7-დან 5 სამქულიანი ჩააგდო, მატჩი კი 16 ქულით დაასრულა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა, დუდა სანაძემ პორტუგალიის ჩემპიონატში მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა, თუმცა, ოლივეირენშე ილიაბუმთან საშინაო მარცხისგან ვერ იხსნა – 78:83. გადამწყვეტი მე-3 მეოთხედი გამოდგა, რომელიც მასპინძლებმა 16:27 დათმეს. სანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და 29:41 წუთში 22 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 5-დან 3 ორქულიანი, 8-დან 3 სამქულიანი და 7-ვე საჯარიმო ჩააგდო.

ოლივეირირენშემ პორტუგალიურ ლიგაში ზედიზედ მესამედ წააგო და 7 გამარჯვებით მე-4 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი სტუმრად, აუტსაიდერ ტერსეირასთან ჩაატარებს.

# რუსეთი 2022 წლის მსოფლიოს პირველობაზე ყატარში მონაწილეობას ვერ მიიღებს

## მას 4 წლის მანძილზე ყველა დიდ ტურნირზე აეკრძალა მონაწილეობა




შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გამართულ მსოფლიოს საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) აღმასკომის სხდომაზე გათვალისწინებული იქნა სანქციების დეპარტამენტის რეკომენდაცია და რუსეთს 4 წლის განმავლობაში ყველა დიდ ტურნირში მონაწილეობა აუკრძალა, მათ შორის ოლიმპიადასა და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

გადაწყვეტილება ერთხმად იქნება მიღებული და გარდა დიდ ტურნირებზე მონაწილეობისა, მომავალი 4 წლის განმავლობაში რუსეთი ვერც ერთ დიდ ტურნირს ვერ უმასპინძლებს. პლუს, რუსი ჩინოვნიკები ვერ დაესწრებიან ოლიმპიურ თამაშებს და რუსული მხარე ჯარიმის სახით გარკვეულ თანხას გადაიხდის.

რაც შეეხება უშუალოდ სპორტსმენებს, ისინი დაშვებული იქნებიან დიდ ტურნირებზე და გამოსვლა მხოლოდ იმ რუს სპორტსმენებს შეეძლებათ, რომლებიც დოპინგ-სკანდალში არ არიან გარეულები, თუმცა – ნეიტრალური დროშით და ჰიმნის გარეშე.

ზაფხულის 32-ე ოლიმპიური თამაშები ტოკიოში 2020 წელს ჩატარდება, მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში კი ყატარი 2022 წელს უმასპინძლებს. რუსეთი ამ 2 დიდ ფორუმს მოწყვეტილი იქნება.

რუსეთს ასევე აეკრძალა მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობა სპორტის ნებისმიერ სახეობაში. ასევე ამ 4 წლის განმავლობაში ვერ შეიტანს განაცხადს დიდი ტურნირების მასპინძლობაზე, თუნდაც 4 წლის შემდეგ ტარდებოდეს. აკრძალვა არ ვრცელდება ფეხბურთში ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე, რადგან უეფას ვადასთან ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული.

ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება მოსკოვის ანტიდოპინგურ ლაბორატორიაში ჩატარებული გამოძიების შედეგებით იყო განპირობებული. გამოძიებამ აჩვენა, რომ ლაბორატორიაში რუსი სპორტსმენების ანტიდოპინგური შემოწმების შედეგებს მალავდნენ და აყალბებდნენ.

შეგახსენებთ, რომ დოპინგ-სკანდალის გამო, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკი) რუსეთი ერთხელ უკვე დასაჯა და 2018 წელს, პიონჩანში გამართულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე რუს სპორტსმენებს ქვეყნის სახელით გამოსვლის უფლება არ მისცა და 168 რუსმა ათლეტმა „ნეიტრალური დროშის" ქვეშ იასპარეზა.

რუსულ მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მომავალი 21 დღის განმავლობაში აქვს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*


# განცხადებები

### იყიდება

● 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მსხმოიარე ხეხილით, სარწყავი და სასმელი წყლით უზრუნველყოფილი, გამდინარე ბუნებრივი წყლით, თევზებით. მისამართი: ქვემო ფონიჭალა. თბილისი-რუსთავის გზაზე. მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ: 577-28-46-10; 571-27-25-21.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საბურთალო საქართველოს თასის მფლობელია, ქიაბრიშვილმა საბურთალო დატოვა

**საბურთალო-ლოკომოტივი 3:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 გ.კოხრეიძე (12), 2:0 გაბედავა (19), 2:1 სიხარულიძე (523), 3:1 კაკუბავა (89)**

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, გ.კოხრეიძე (ლ.კოხრეიძე 67), გაბედავა, რეხვიაშვილი, ტერა, კაკუბავა, ალთუნაშვილი, ტაბატაძე (ცნობილაძე 86), გორგიაშვილი (ყენია 61)

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, სამურკასოვი, შონია, დ.კირკიტაძე (გვალია 78), კომახიძე, სიხარულიძე, თ.კირკიტაძე (ინჯგია 30), დარცმელია (ჯიქია 82), უბილავა

გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გაირკვა, რომ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასს ახალი მფლობელი ჰყავს – თბილისის საბურთალო. გასული სეზონის ჩემპიონი უტიტულოდ არც წელს დარჩა და ფინალურ მატჩში თანაქალაქელ ლოკომოტივს მოუგო.

სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა საინტერესო დაპირისპირება იხილა, მომენტები ორივე კართან შეიქმნა. საკუთარი შანსები უკეთ საბურთალოელებმა გამოიყენეს, 3:1 დაამარცხეს მეტოქე და საქართველოს თასის მფლობელები ისტორიაში პირველად გახდნენ.

მთლიანობაში საბურთალო იმსახურებდა მოგებას. გია ქიაბრიშვილის გუნდი დასაწყისში უკეთესი იყო და უკვე მე-20 წუთისთვის უკვე 2 ბურთით იგებდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პირველი გოლი, რომელიც საჯარიმო დარტყმით გიორგი კოხრეიძემ გაიტანა. საბურთალოს შემტევმა დაახლოებით 30 მეტრიდან, ძლიერი და ზუსტი დარტყმით საოცარი სილამაზის გოლი შეაგდო. კარგი გამოდგა მეორე გოლიც – ელვინ ტერამ იდეალური პასი მისცა გიორგი გაბედავას და საბურთალოელთა შემტევმა თანაგუნდელს გარჯა დაუფასა.

პირველ ტაიმში ლოკომოტივსაც ჰქონდა მომენტი – რევაზ ინჯგიას ჩაწოდების შემდეგ კი დარცმელიამ ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

მე-2 ტაიმი 6 წუთის დაწყებული იყო, როდესაც სტანდარტულს საბურთალოს კარის მიმართულებით თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მოჰყვა. ბურთთან ლოკომოტივის ბომბარდირი, ირაკლი სიხარულიძე მივიდა და ზუსტი დარტყმით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

დარჩენილ დროში ლოკომოტივმა სცადა მატჩის გადარჩენა და ჰქონდა კიდეც რამდენიმე შანსი, მაგრამ გოლი ისევ დემეტრე ბულისკერიას კარში გავიდა. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ, ბურთს მიმართულება დაჩი ცნობილაძემ შეუცვალა, თავური დარტყმით კი მატჩის საბოლოო ანგარიში ლევან კაკუბავამ დააფიქსირა.

ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. მატჩის მონაწილე გუნდებს და მსაჯებს კუთვნილი ჯილდოები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენმა, ლევან კობიაშვილმა, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, კახა ჭუმბურიძემ და გორის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა გადასცეს.

მატჩის შემდეგ საბურთალოს მთავარმა მწვრთნელმა გია ქიაბრიშვილმა გუნდიდან წასვლა დააანონსა:

– პირადად ჩემთვის, ეს ტიტული ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამდენი ხანია ვმუშაობ და არასდროს მქონდა მოგებული. საბურთალო ტიტულებით განებივრებული არ არის, წინა წელს ჩემპიონები გავხდით, ახლა კი საქართველოს თასი მოვიგეთ. ეს 2 დიდი წარმატება ჩვენი 6-წლიანი მუშაობის გვირგვინი იყო.

საბურთალო პირნათელმა დავტოვე, აქ კი აღარ დავრჩები. დროა, წავიდე სახლში და დავისვენო.

# რუსთავმა ოლიმპი წააქცია



**რუსთავი-ოლიმპი 94:59**

**(28:15, 25:8, 18:20, 23:16)**

გეორგიოს კეცელიდისის გაწვრთნილი რუსთავი ოლიმპს შეხვდა და იოლად მოუგო – 94:59. ამ მარცხით შეწყდა დიმიტრი ჯაკობოვის გუნდის 5-მატჩიანი წაუგებელი სერია. სუპერლიგის 2 მარცხით დაწყების შემდეგ ოლიმპელებმა მიჯრით 5 გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად კი, რუსთავში, წარმატებული სერია შეწყვიტეს.

მატჩის მიმდინარეობის აღწერას აზრი არ აქვს. შეხვედრა რუსთაველთა დომინაციით როგორც დაიწყო, ისე გაგრძელდა და დასრულდა კიდეც. გეორგიოს კეცელიდისის გაწვრთნილი გუნდი ერთი თავით მაღლა იდგა სუპერლიგის ლიდერთა შორის მყოფ ოლიმპზე. პირველივე პერიოდში რუსთაველებმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვეს, რომელსაც მომდევნო მეოთხედებში მეთოდურად ზრდიდნენ და საბოლოოდ დიდი სხვაობითაც გაიმარჯვეს.

ქვემოქართლურ გუნდში ყველა მოთამაშემ ჩააგდო ბურთი, ვინც მოედანზე გამოვიდა. ბომბარდირი გახდა ილია ლონდარიძე, რომელმაც 18 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. 15 ქულით გამოირჩა დენზელ ლივინგსტონი, 14 ქულა და 8 მოხსნა მერაბ ბოქოლიშვილის ანგარიშზე დაგროვდა. ოლიმპში 21 ქულით რევაზ როგავა გამოირჩა. 11 ქულა ნიკა რამიშვილმა მიითვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 9 | 7 | 2 | 782-698 | 16 |
| 2.ბათუმი | 9 | 5 | 4 | 759-719 | 14 |
| 3.ოლიმპი | 8 | 5 | 3 | 616-642 | 13 |
| 4.დინამო | 8 | 5 | 3 | 660-690 | 13 |
| 5.რუსთავი | 8 | 4 | 4 | 662-620 | 12 |
| 6.ქუთაისი | 8 | 4 | 4 | 622-608 | 12 |
| 7.ვერა | 8 | 4 | 4 | 606-610 | 12 |
| 8.აფხაზეთი | 8 | 3 | 5 | 631-658 | 11 |
| 9.ტიტები | 8 | 3 | 5 | 543-588 | 11 |
| 10.კაკტუსი | 8 | 3 | 5 | 576-603 | 11 |
| 11.მგზავრები | 8 | 2 | 6 | 618-637 | 10 |

# შედეგები

## 8 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ლესტერი ...... 1:4
ნორვიჩი-შეფილდი ...... 1:2
ნიუკასლი-საუთჰემპტონი ...... 2:1
ბრაიტონი-ვულვზი ...... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 16 | 15 | 1 | 0 | 40-14 | 46 |
| 2.ლესტერი | 16 | 12 | 2 | 2 | 39-10 | 38 |
| 3.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 44-19 | 32 |
| 4.ჩელსი | 16 | 9 | 2 | 5 | 31-24 | 29 |
| 5.მანჩესტერი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-19 | 24 |
| 6.ვულვზი | 16 | 5 | 9 | 2 | 23-19 | 24 |
| 7.ტოტენჰემი | 16 | 6 | 5 | 5 | 30-23 | 23 |
| 8.შეფილდი | 16 | 5 | 7 | 4 | 19-16 | 22 |
| 9.კრ.პალასი | 16 | 6 | 4 | 6 | 14-18 | 22 |
| 10.ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 17-23 | 22 |
| 11.არსენალი | 15 | 4 | 7 | 4 | 21-23 | 19 |
| 12.ბრაიტონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-24 | 19 |
| 13.ბარნლი | 16 | 5 | 3 | 8 | 21-29 | 18 |
| 14.ევერტონი | 16 | 5 | 2 | 9 | 19-28 | 17 |
| 15.ბორნმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-24 | 16 |
| 16.ვესტ ჰემი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-25 | 16 |
| 17.ასტონ ვილა | 16 | 4 | 3 | 9 | 23-28 | 15 |
| 18.საუთჰემპტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 18-35 | 15 |
| 19.ნორვიჩი | 16 | 3 | 2 | 11 | 17-34 | 11 |
| 20.უოტფორდი | 16 | 1 | 6 | 9 | 9-30 | 9 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-სუონსი ...... 5:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

უნიონი-კიოლნი ...... 2:0
ვერდერი-პადერბორნი ...... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 14 | 10 | 1 | 3 | 30-16 | 31 |
| 2.ლაიფციგი | 14 | 9 | 3 | 2 | 38-16 | 30 |
| 3.დორტმუნდი | 14 | 7 | 5 | 2 | 33-19 | 26 |
| 4.შალკე | 14 | 7 | 4 | 3 | 25-18 | 25 |
| 5.ფრაიბურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-17 | 25 |
| 6.ლევერკუზენი | 14 | 7 | 4 | 3 | 22-18 | 25 |
| 7.ბაიერნი | 14 | 7 | 3 | 4 | 35-20 | 24 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-23 | 21 |
| 9.ვოლფსბურგი | 14 | 5 | 5 | 4 | 15-14 | 20 |
| 10.უნიონი | 14 | 6 | 1 | 7 | 18-19 | 19 |
| 11.აინტრახტი | 14 | 5 | 3 | 6 | 24-22 | 18 |
| 12.აუგსბურგი | 14 | 4 | 5 | 5 | 20-26 | 17 |
| 13.მაინცი | 14 | 5 | 0 | 9 | 20-34 | 15 |
| 14.ვერდერი | 14 | 3 | 5 | 6 | 22-29 | 14 |
| 15.ჰერტა | 14 | 3 | 3 | 8 | 20-29 | 12 |
| 16.ფორტუნა | 14 | 3 | 3 | 8 | 16-29 | 12 |
| 17.პადერბორნი | 14 | 2 | 2 | 10 | 17-32 | 8 |
| 18.კიოლნი | 14 | 2 | 2 | 10 | 12-30 | 8 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვისბადენი-დარმშტადი ...... 0:0
დინამო-ზანდჰაუზენი ...... 1:1
რეგენსბურგი-ზ.პაული ...... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-ხეტაფე ...... 0:1
ბეტისი-ბილბაო ...... 3:2
ვალიადოლიდი-სოსიედადი ...... 0:0
ლეგანესი-სელტა ...... 3:2
ოსასუნა-სევილია ...... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 1 | 3 | 41-18 | 34 |
| 2.რეალი | 15 | 10 | 4 | 1 | 32-11 | 34 |
| 3.სევილია | 16 | 9 | 4 | 3 | 20-15 | 31 |
| 4.სოსიედადი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-18 | 27 |
| 5.ხეტაფე | 16 | 7 | 6 | 3 | 24-16 | 27 |
| 6.ბილბაო | 16 | 7 | 5 | 4 | 19-12 | 26 |
| 7.ატლეტიკო | 16 | 6 | 8 | 2 | 16-10 | 26 |
| 8.ვალენსია | 16 | 7 | 5 | 4 | 26-23 | 26 |
| 9.გრანადა | 16 | 7 | 3 | 6 | 23-20 | 24 |
| 10.ოსასუნა | 16 | 5 | 8 | 3 | 22-18 | 23 |
| 11.ბეტისი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-27 | 22 |
| 12.ლევანტე | 16 | 6 | 2 | 8 | 20-25 | 20 |
| 13.ვილიარეალი | 16 | 5 | 4 | 7 | 28-24 | 19 |
| 14.ვალიადოლიდი | 16 | 4 | 7 | 5 | 14-18 | 19 |
| 15.ალავესი | 16 | 5 | 3 | 8 | 17-23 | 18 |
| 16.ეიბარი | 16 | 4 | 3 | 9 | 15-28 | 15 |
| 17.მალიორკა | 16 | 4 | 2 | 10 | 16-29 | 14 |
| 18.სელტა | 16 | 3 | 4 | 9 | 12-23 | 13 |
| 19.ლეგანესი | 16 | 2 | 3 | 11 | 11-27 | 9 |
| 20.ესპანიოლი | 16 | 2 | 3 | 11 | 10-30 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-ლუგო ...... 3:1
დეპორტივო-სარაგოსა ...... 1:3
ლას პალმასი-ნუმანსია ...... 3:1
კადისი-ელჩე ...... 0:0

**იტალია. სერია ა**

ლეჩე-ჯენოა ...... 2:2
სასუოლო-კალიარი ...... 2:2
სპალი-ბრეშა ...... 0:1
ტორინო-ფიორენტინა ...... 2:1
სამპდორია-პარმა ...... 0:1
ბოლონია-მილანი ...... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 2 | 1 | 31-13 | 38 |
| 2.იუვენტუსი | 15 | 11 | 3 | 1 | 26-15 | 36 |
| 3.ლაციო | 15 | 10 | 3 | 2 | 36-15 | 33 |
| 4.კალიარი | 15 | 8 | 5 | 2 | 31-19 | 29 |
| 5.რომა | 15 | 8 | 5 | 2 | 26-15 | 29 |
| 6.ატალანტა | 15 | 8 | 4 | 3 | 37-23 | 28 |
| 7.ნაპოლი | 15 | 5 | 6 | 4 | 24-19 | 21 |
| 8.პარმა | 15 | 6 | 3 | 6 | 21-18 | 21 |
| 9.ტორინო | 15 | 6 | 2 | 7 | 18-21 | 20 |
| 10.მილანი | 16 | 6 | 2 | 7 | 16-19 | 20 |
| 11.ვერონა | 15 | 5 | 3 | 7 | 14-17 | 18 |
| 12.ბოლონია | 15 | 4 | 4 | 7 | 22-26 | 16 |
| 13.ფიორენტინა | 15 | 4 | 4 | 7 | 19-23 | 16 |
| 14.სასუოლო | 14 | 4 | 3 | 7 | 26-27 | 15 |
| 15.ლეჩე | 15 | 3 | 6 | 6 | 20-29 | 15 |
| 16.უდინეზე | 15 | 4 | 3 | 8 | 10-24 | 15 |
| 17.სამპდორია | 15 | 3 | 3 | 9 | 12-25 | 12 |
| 18.ჯენოა | 15 | 2 | 5 | 8 | 17-30 | 11 |
| 19.ბრეშა | 14 | 3 | 1 | 10 | 11-26 | 10 |
| 20.სპალი | 15 | 2 | 3 | 10 | 9-22 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

პიზა-ვირტუსი ...... 0:2
იუვე სტაბია-ფროზინონე ...... 0:2
პორდენონე-კროტონე ...... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რეიმსი-სტ.ეტიენი ...... 3:1
ნანტი-დიჟონი ...... 1:0
მარსელი-ბორდო ...... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 13 | 0 | 3 | 35-9 | 39 |
| 2.მარსელი | 17 | 10 | 4 | 3 | 25-13 | 34 |
| 3.ლილი | 17 | 8 | 4 | 5 | 21-15 | 28 |
| 4.რენი | 16 | 8 | 3 | 5 | 22-17 | 27 |
| 5.ბორდო | 17 | 7 | 5 | 5 | 28-20 | 26 |
| 6.ნანტი | 17 | 8 | 2 | 6 | 15-16 | 26 |
| 7.ლიონი | 17 | 7 | 4 | 6 | 28-16 | 25 |
| 8.სტ.ეტიენი | 17 | 7 | 4 | 6 | 21-23 | 25 |
| 9.რეიმსი | 16 | 6 | 6 | 4 | 14-9 | 24 |
| 10.მონპელიე | 17 | 6 | 6 | 5 | 21-17 | 24 |
| 11.მონაკო | 16 | 7 | 3 | 6 | 26-25 | 24 |
| 12.ანჟე | 17 | 7 | 3 | 7 | 20-23 | 24 |
| 13.ნიცა | 17 | 7 | 2 | 8 | 25-27 | 23 |
| 14.ბრესტი | 17 | 5 | 6 | 6 | 21-20 | 21 |
| 15.სტრასბური | 17 | 6 | 3 | 8 | 20-23 | 21 |
| 16.დიჟონი | 17 | 4 | 4 | 9 | 11-19 | 16 |
| 17.ამიენი | 16 | 4 | 4 | 8 | 19-31 | 16 |
| 18.მეცი | 17 | 3 | 6 | 8 | 14-25 | 15 |
| 19.ტულუზა | 17 | 3 | 3 | 11 | 19-35 | 12 |
| 20.ნიმი | 16 | 2 | 6 | 8 | 12-28 | 12 |

**ნიდერლანდები. ეკრედივიზიონი**

ვიტესი-ფეინოორდი ...... 0:0
გრონინგენი-უტრეხტი ...... 0:1
ვალვაიკი-ჰერენვენი ...... 1:3
სპარტა-ერაკლესი ...... 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

გიმარაეში-პორტიმორენშე ...... 2:0
ფერეირა-სეტუბალი ...... 2:3
სპორტინგი-მორეირენშე ...... 1:0
ბელენენსეში-პორტუ ...... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ურალი ...... 2:3
სოჭი-რუბინი ...... 1:1
სპარტაკი-როსტოვი ...... 1:4

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სიონი ...... 4:0
თუნი-სტ.გალენი ...... 1:4
ციურიხი-ზერვეტი ...... 0:5

**შოტლანდია. ლიგის თასი**

**ფინალი**

რეინჯერსი-სელტიკი ...... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-ადმირა ...... 1:2
შტურმი-ალტახი ...... 1:2
რაპიდი-აუსტრია ...... 2:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

მუსკრონი-სტანდარდი ...... 2:2
ანდერლეხტი-შარლერუა ...... 0:0
ეუპენი-ოსტენდე ...... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-ოფი ...... 2:1
ასტერასი-ლარისა ...... 1:1
ატრომიტოსი-არისი ...... 2:2
ვოლოსი-პანათინაიკოსი ...... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-გაზიანთები ...... 0:0
ანთალია-ტრაბზონი ...... 1:3
დენიზლი-ბაშაქშეჰირი ...... 1:1
ქაშიმფაშა-ბეშიქთაში ...... 2:3

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-პრჟიბრჟამი ...... 2:0
კარვინა-სიგმა ...... 1:1
სპარტა-ბოლესლავი ...... 5:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-ჩენსტოხოვა ...... 3:0
პოგონი-პიასტი ...... 1:0
სლასკი-ლეგია ...... 0:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-დესნა ...... 2:6
მარიუპოლი-ლვოვი ...... 0:0
დინამო-ზორია ...... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-რანდერსი ...... 2:1
ორხუსი-ლუნგბიუ ...... 1:1
სონდერიისკე-ესბიერგი ...... 2:1
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ...... 0:1
ბრონდბიუ-მიდტიულანდი ...... 1:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## დემურ ქეიშვილის გახსენება



გარდაიცვალა საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი, ღირსების მედლის კავალერი, საპატიო რკინიგზელი დემონ (დემურ) ქეიშვილი.

იგი დაიბადა 1943 წლის 27 მაისს ქალაქ ქუთაისში; 1960 წელს დაამთავრა ქუთაისის მესამე საშუალო სკოლა, 1966 წელს წარჩინებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1960 წელს, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პარალელურად თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში ამწყობი საამქროს ზეინკლად. აქედან იწყება მის მიერ განვლილი ხანგრძლივი შრომითი საქმიანობის გზა შპს „საქართველოს რკინიგზის" კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილემდე, ტერიტორიული საკადრო ცენტრის უფროსამდე.

ყველგან, სადაც კი იმუშავა დ.ქეიშვილმა, მან თავი გამოიჩინა როგორც განათლებულმა, ერუდირებულმა, შრომისმოყვარე სპეციალისტმა. ადამიანებთან ურთიერთობაში იყო გულისხმიერი, კეთილი. როგორც პედაგოგი უშურველად გადასცემდა ახალგაზრდებს თავის ღრმა ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას.

წავიდა ჩვენგან საუკეთესო პიროვნება, შესანიშნავი კოლეგა და დაგვიტოვა დიდი სევდა. მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში.

*საქართველოს რკინიგზის შრომის ვეტერანთა ასოციაციის გამგეობა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 2. რაიმე საქონლის ნაკლებობა; 3. მოხეტიალე ცირკი; 4. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 8. ნახატითა და ჭიქურით დაფარული გამომწვარი თიხის ნაკეთობა; 12. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 13. რაიმე სიდიდეების გრაფიკულად გამოსახული შეფარდება; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 16. კინოკომედია „ლონდრეს" რეჟისორი; 18. მინერალური წყალი სამეგრელოში; 20. დამუხტული ატომი.

**თარაზულად:** 6. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში; 7. ქალაქი მესხეთში; 8. კომპანია „სონის" დამფუძნებელი; 9. ლითონის დასამუშავებელი ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი იარაღი; 10. ავადმყოფობის დადგენა გამოკვლევის შედეგად; 11. მაღალხარისხოვანი ნაყინი; 15. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 17. ფრანგული საიუველირო ფირმა; 19. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 21. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკელი ნაწილი; 22. სამხედრო გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 23. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხი:**

**თარაზულად:** 5. რაფინადი; 6. ენერგია; 8. როტონდა; 10. კომბაინი; 11. კიმონო; 13. კაიმანი; 16. ვირტუოზი; 18. დრაფი; 19. აბედი; 21. ამპლუა; 22. ამონიუმი; 23. ლევრეტი.

**შვეულად:** 1. კამპუჩია; 2. მარტი; 3. დენდრიტი; 4. მარილი; 7. ადამი; 9. ენოტი; 12. ენცეფალიტი; 14. სომალი; 15. ვიბრამი; 17. დროზერა; 20. იმამი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 დეკემბერი


აშშ დოლარი — 2.9466


ევრო — 3.2690


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8683


100 რუსული რუბლი — 4.6218

## ამინდის პროგნოზი 10 დეკემბერი




2018311219648




## 3 დეკემბრიდან

წიგნი I-II

## რჩეული საბავშვო მოთხრობები

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

**ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი**

## ნათია თოდუა ამერიკაში დააჯილდოვეს



ქართველი მომღერალი, გერმანული „ვოისის“ გამარჯვებული ნათია თოდუა ამერიკაში დააჯილდოვეს.

მისი სიმღერა „სიყვარულის წერილი“ „მიუზიქ ვიდეო ანდერგრაუნდის“ ნომინაციაში „თვის საუკეთესო ვიდეოს“ გამარჯვებული გახდა.

## დალი ჩიტალაძე „მასტერშეფიდან“ გაუშვეს



მოდის ბლოგერი დალი ჩიტალაძე კულინარიული შოუ „მასტერშეფის“ ჟიურიმ სახლში გაუშვა.

საკონკურსო ტურში კონსტანტინე თედელურმა, ლევან კობიაშვილმა და ლუკა ნაჭყებიამ შეზღუდვები დააწესეს და კონკურსანტები მხოლოდ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად მომზადებული კერძის დაგემოვნების შემდეგ შეაფასეს.

ჟიურიმ საუკეთესო კერძად გაგა ვარდანაძის კერძი მიიჩნია, ყველაზე ცუდ კერძებად კი დალი ჩიტალაძის და დიმუ მენაბდეს კერძები დაასახელა. საბოლოოდ ჟიურიმ შოუ დალის დაატოვებინა:

— ჩემი ცხოვრების ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რასაც ჰქვია კულინარია და მისი პროფესიულ დონეზე აყვანა, დამთავრდა. დიდი მადლობა ყველას ასეთი გემოვნებიანი, მაღალპროფესიული, მთელი საქართველოს ფავორიტი შოუსთვის, და ბედნიერი ვარ, რომ მივიღე მონაწილეობა, მივიღე გამოცდილება და, რაც მთავარია, მაყურებლის დიდი მხარდაჭერა და სიყვარული. ათივე კონკურსანტი ჩემთვის აღმოჩენა იყო, ათივე ღირსეული კონკურენტი იყო, რა თქმა უნდა, მყავს ჩემი ფავორიტი, მარტა ბარამიძე, რომელსაც ვუსურვებ გამარჯვებას, რადგან ასეთი კონკურსები მარტასნაირ ადამიანებისთვის დიდი სტიმულია! ის ამას იმსახურებს!

## ასტროპროგნოზი



10 დეკემბრისათვის

**ვერძი** — რთული დღეა, რომელიც შეუსრულებელ მოვალეობებს უკავშირდება. თავი შეიკავეთ შორს გამგზავრებისაგან. აქტიური ფიზიკური დატვირთვა არ გამოგადგებათ. **კურო** — სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. ემოციების გამოვლენა რაციონალურ აზროვნებაში ხელს შეგიშლით. ნუ ეცდებით, ყველა პრობლემის მოგვარებას ერთდროულად შეეჭიდოთ. **ტყუპები** — დღეს აუცილებლად დაამთავრეთ დაწყებული საქმეები. ნებისმიერი ქმედება თქვენგან დიდ ენერგიას მოითხოვს. **კირჩხიბი** — ოჯახური სიტუაცია სტაბილურია. ერიდეთ ხალხმრავლობას და დაისვენეთ შინაურების გარემოცვაში. **ლომი** — ნებისმიერ საქმეს პრაქტიკული კუთხით მიუდექით. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. იზრდება თქვენი ავტორიტეტი. **ქალწული** — არაკეთილისმყოფელი დღეა. ცილისმწამებლებსა და ავის მოსურნეებს სათოფეზე არ გაეკაროთ. ასევე თავი შეიკავეთ ქალაქგარეთ გასვლისაგან. **სასწორი** — სამსახურში წინსვლა გელით. თქვენი პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ღრიანკალი** — შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საკუთარი უნარების რეალიზაციას იოლად მოახერხებთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. ემოციები შეიკავეთ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა გეძაბებათ. პირად ცხოვრებაში აქტიურობას ერიდეთ. **თხის რქა** — უკიდურესად რთული დღეა. არაკეთილისმსურველები შეეცდებიან, უსამართლოდ დაგადანაშაულონ და გული გატკინონ. ერიდეთ მარტო დარჩენას. **მერწყული** — დღის პირველ ნახევარში ოპტიმისტურად და ენერგიულად ხართ, რაც გარშემომყოფებზე დადებითად იმოქმედებს. ყურადღება მიაქციეთ როგორც საკუთარ, ისე ახლობლების ჯანმრთელობას. **თევზები** — იღბლიანი და წარმატებული დღეა. იაქტიურეთ. დღის მეორე ნახევარში მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორკესტრის რეპეტიციაზე დასარტყმელი ინსტრუმენტის დაკვრით უკმაყოფილო დირიჟორი ამბობს:

— როდესაც მუსიკოსი სხვა საკრავებზე დაკვრას ვერ ახერხებს, მას ორ ჯოხს აძლევენ და მედოლე ხდება.

ამ დროს ორკესტრიდან პასუხად ისმის:

— ხოლო თუ ის დოლზე დაკვრასაც თავს ვერართმევს, ერთ ჯოხს ართმევენ და დირიჟორი ხდება.

●●●

ექიმი ქუჩაში თავის დიდი ხნის პაციენტს შეხვდა და ეუბნება:

— შესანიშნავად გამოიყურებით, რას შვრება თქვენი წყლული?

— ორი კვირით დედასთან წავიდა!

●●●

მამაკაცი ექიმთან მიღებაზე ეწერება და რეგისტრატორი გვარს ეკითხება:

— თქვენი სახელი და გვარი?

— გ-გ-გ-გივი გ-გ-გ-გამყრელიძე.

— ენაბლუ ხართ?

— არა, ენაბლუ მამაჩემი იყო, ხოლო ის რეგისტრატორი, რომელმაც დამარეგისტრირა, დებილი.

●●●

მამაკაცი იძახის:

— ცხენი, ცხენი, ნახევარი სამეფო ცხენში!!!

— აი, ბატონო, ინებეთ ცხენი.

— კი მაგრამ, ეს ხომ პონია.

— არც თქვენ ხართ მეფე.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— მე შენზე ვზრუნავდი! წვნიანი მოგიმზადე, ცუდად რომ იყავი!

— ხომ არ გეშლება? ჯერ წვნიანი მომიმზადე და მერე გავხდი ცუდად!

●●●

დილით ადრე აფთიაქში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

— უძილობის საწინააღმდეგო საშუალება მომეცით!

— რომელი გნებავთ?

— ფეხმძიმობის ტესტი.

## იუვენტუსი და ინტერი რაკიტიჩისთვის იბრძოლებენ



ბარსელონას ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩი ზამთარში, სავარაუდოდ, ბარსელონას დატოვებს.

მისი შეძენა რამდენიმე კლუბს სურს.

განსაკუთრებით იტალიური გრანდები აქტიურობენ, მაგალითად, ინტერი და იუვენტუსი. იუვენტუსის მთავარ მწვრთნელს მაურისიო სარის ძალიან უნდა, რომ რაკიტიჩი თავის გუნდში იხილოს. ხორვატი ნახევარმცველი ბარსადან წასვლის წინააღმდეგი არ არის, რადგან მან ძირითად შემადგენლობაში მუდმივი ადგილი დაკარგა, რის გამო რაკიტიჩს უკმაყოფილება არ დაუმალავს.

მისი სატრანსფერო ფასი 60 მილიონი ევროა.

## ანტუან გრიზმანი: „ადაპტაცია თითქმის გავიარე“



ბარსელონას ფრანგმა ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა თავის ახალ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მან ადაპტაცია თითქმის ბოლომდე გაიარა და მოედანზე თავს კომფორტულად გრძნობს. გრიზმანმა ასევე აღნიშნა, რომ მესისთან და სუარესთან კარგი ურთიერთობა აქვს:

— ვაღიარებ, რომ პირველი რამდენიმე თვე ბარსელონაში ადაპტაცია გამიჭირდა, მაგრამ უკვე მივეჩვიე ბევრ რამეს და მოედანზე თავს კარგად ვგრძნობ. მესისთან და სუარესთან კარგი ურთიერთობა მაქვს როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ.

## რონალდუ იუვენტუსში უკმაყოფილოა და წასვლაზე ფიქრობს



კრიშტიანო რონალდუს წლევანდელ სეზონში არ გამოსდის ჩვეულ დონეზე თამაში და ამის გამო ის უკმაყოფილებას არ მალავს.

რონალდუ ამაში თავის კლუბს ადანაშაულებს და არ არის გამორიცხული, რომ ზაფხულში მან იუვენტუსი დატოვოს.

ამ ინფორმაციას რონალდუ ოფიციალურად არ ადასტურებს, მაგრამ არ მალავს, რომ ოპტიმალური ფორმისგან შორს არის. წლევანდელ სეზონში კრიშტიანომ ჯერჯერობით მხოლოდ 7 გოლის გატანა მოახერხა.

## გვარდიოლა: „სიტი ამჟამად მცირე კრიზისშია“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მანჩესტერ სიტი ამჟამად მცირე კრიზისშია და მან არ იცის, რა არის ამ კრიზისის მიზეზი.

გვარდიოლას აზრით, ეს კრიზისი მალე დასრულდება:

— საკუთარ მოედანზე მარცხი ყოველთვის მწარეა, განსაკუთრებით შენს თანაქალაქელ გუნდთან. ვაღიარებ, რომ მცირე კრიზისი არსებობს, მაგრამ ეს ერთად უნდა გადავლახოთ და ფეხბურთელების იმედი მაქვს.

ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბარბარა სამხარაძეს აკრიტიკებენ



„ნიჭიერის“ გამარჯვებულს და „საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილეს ბარბარა სამხარაძეს მისი წონის, ჩაცმულობის, ვარცხნილობის, მაკიაჟის გამო აკრიტიკებენ.

ბარბარა სამხარაძე:

— ცოტა რამ ჩემს გამოსვლაზე: ეს რა ღამის პერანგი ეცვაო, თმა როგორ ჰქონდაო, მაკიაჟი არ უხდებოდაო, კაბაზე ხელს რატომ იკიდებდაო, თმას რატომ ისწორებდაო, რას დააფორთხილებდა იმხელა კაბასო, 20 კილო რო „ჩამოიგლიჯოს“ უფრო კარგი იქნებაო, სირცხვილია, ამხელა რომ სცენაზე დგასო.

უკაცრავად დააა... საერთოდ ვიმღერე?

საერთაშორისო მუსიკალურმა პროდიუსერმა მომწერა შვეიცარიიდან, „შენს გამოსვლას ვუყურე და აღფრთოვანებული ვარ, წარმატებას გისურვებ და ველოდებით შემდეგ ჰიტებს“-ო... თქვენ რა გჭირთ ხალხო? რით ვერ დავამთხვიე, ტანი, თმა, ჩაცმა და ხმა ერთმანეთს თქვენს მოსაწონად?

მაგრამ, როგორც ფროსტმა აღნიშნა: „რაღაც ყოველთვის გვაფერხებდა და გვასუსტებდა იქამდე, სანამ არ აღმოვაჩინეთ, რომ ეს რაღაც, ჩვენ ვიყავით.“

მადლობა ჩემს გულშემატკივარს. ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. მადლობა, რომ მიღებთ ისეთს, როგორიც ვარ. ჯერ ყველაფერი წინაა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 2. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 3. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 4. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 5. საკრედიტო დაწესებულება; 7. პროვინციის მმართველი თურქეთში; 11. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 15. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 16. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი ბოლივიაში, პერუსა და ეკვადორში; 18. ჭაობში ბინადარი გრძელნისკარტა ფრინველი; 19. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 8. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. ჩინეთში წარმოშობილი ქაღალდებიდან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 10. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 12. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 14. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი ხორვატიაში; 17. ქართული მინერალური წყალი; 20. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 21. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 22. მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი; 23. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**